ყოველდღიური საინფორმაციო, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№17 (1043) 16 - 17 თებერვალი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ლიტო გელოვანი

გვ.2

რძიანი ყავა რომ მიირთვათ...

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

„ბადრის ბიძინა მტრად არ მიაჩნდა, მაგრამ არ უყვარდა...“

გვ.6-7

სკანდალურად არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

საიდუმლო შტაბი ავლაბარში და ივანიშვილ-პატარკაციშვილის ურთიერთობის უცნობი დეტალები — ვაღერი გელბახიანი ერეკლე კოღუასთან ნათესაობას უარყოფს

სააკაშვილის რეჟიმის 62 მაღალჩინოსანი, რომელზეც ხელისუფლებამ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო და უმძიმეს ბრალდებას უყენებს!

გვ.5

„რომ ვიცოდე, ზაქროს თავში რა ხდება, რალაცას ვუშველი — ექიმი ვარ!“

რა ხდებოდა უმრავლესობის სამსაათიან დახურულ სხდომაზე — დავით საგანელიძე „ვერსიას“ დეტალებს უყვება

გვ.3

როგორ ნიშნავდნენ ნაციონალები „ზონაზე პალატენცებს“

გვ.9

პატიმრის დღიური

რძიანი ყავა რომ მიირთვათ...

დიტო გელოვანი

...ძროხა, თხა, ქათამი, მანიოკა, მალანგა, ბანანი — იუწყებოდა წარწერები. გულმავიწყობაში ჩაძირული ხალხი მიხვდა, რომ მალე დადგებოდა ის დღე, როდესაც წარწერის მიხედვით საგნის სახელს კი გაიხსენებდნენ, მაგრამ სამაგიეროდ აღარ ეხსომებოდათ თვით ამ საგნის დანიშნულება. ყველანი საგონებელში ჩავარდნენ, აღარ იცოდნენ, რა ეღონათ. იმის წარმოსადგენად, თუ როგორ ებრძოდნენ მაკონდოელები გულმავიწყობას, საკმარისი იყო წაგეკითხათ ძროხის კისერზე დაკიდებული წარწერა: „ეს ძროხაა. უნდა მოწველოთ დილა-საღამოს. იგი რძეს გვაძლევს, რძე კი უნდა აადუღოთ და დაუმატოთ ყავას, რათა რძიანი ყავა მიირთვათ“.

(გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის ასი წელი“)

არც ჩვენ გვაწყენდა მსგავსი წარწერების გაკეთება...

„ეს არის პარლამენტი. აქ უნდა იქმნებოდეს კანონები. მას ჩვენ ვაფინანსებთ“, „ეს არის მთავრობა. იგი ქვეყანაზე უნდა ზრუნავდეს. მას ჩვენ ვაფინანსებთ“, „ეს არის პროკურატურა. იგი დამნაშავეებს უნდა დასდევდეს. მას ჩვენ ვაფინანსებთ“, „ეს არის სასამართლო. იგი სამართალს უნდა ამკვიდრებდეს. მას ჩვენ ვაფინანსებთ“, „ეს არის საქართველო. იგი ჩვენი სამშობლოა. უნდა გვიყვარდეს“, „ეს არის ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ ამათი დედები უნდა... მაგრამ მას ჩვენ ვაფინანსებთ“, „ეს ვართ ჩვენ. ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ“, „ეს არის არჩევნები. კარგად უნდა დავფიქრდეთ“, „ეს არის არასამთავრობო სექტორი. იგი სწორი გადაწყვეტილების მიღებაში გვიშლის ხელს. მას სრულიად გაურკვეველი ხალხი აფინანსებს, სრულიად გარკვეული ტელევიზია აპიარებს და იმ ხალხის ინტერესებს ემსახურება, რომელთა დედებიც ჩვენ უნდა...“

უნდა და მინდა-გვინდა რამ გაყო, მაგრამ ჯერ უნდა მოინდომო, ანუ გაიგო, რა გინდა, ხოლო ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს აწუკვე ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მთავარია გაგება, ხოლო აქ კი დგება იმის აუცილებლობა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ყველა ქუჩის კუთხეში და ყველა მოედნის შუაგულში გაკეთდეს წარწერა, რომელიც შეგვახსენებს: „გაგება ერთმანეთზე ფიქრი, ერთმანეთის გაფრთხილებაა“.

მარტოობის 25 წლის შემდეგ, ასეთი შეხსენებები არის აუცილებელი, ერთ-ერთი შეხსენება კი („ეს არის ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ ამათი დედები უნდა...“) არის იმდენად აუცილებელი, რომ მის გარეშე არც პარლამენტია, არც მთავრობა, არც სასამართლო და სამართალი, არც საქართველო და არც ჩვენ, ანუ ისინი, რომლებსაც სრულიადაც არ გვაწყენდა ასეთი შეხსენება: „სახელმწიფო არ არის ძროხა, პოლიტიკოსი არ უნდა იყოს გველი, პოლიციელი არ უნდა იყოს ძაღლი, ბანკირი და ბიზნესმენი არ უნდა იყოს ღორი, მოქალაქე არ უნდა იყოს ვირი, ჩინოვნიკი არ უნდა იყოს ბატი, და თუ ბულბული იუბილეს აღნიშვნას გადაწყვეტს, ღონისძიების ორგანიზება არ უნდა დაავალოს ჩიტებს, ან, ძველქართულად რომ ვთქვათ — სირენებს“.

საერთოდ, შემჩნეულია, რომ კვერცხებს, ძირითადად, სირენები დებენ...

აი ამას კი არ ვიცი რა დავარქვა: „სპორტული ტურნირები ყველა წინა მოწვევის პარლამენტებში იმართებოდა, უბრალოდ, წინა მოწვევის პარლამენტის წევრები ოკუპანტებთან ამჯობინებდნენ ფეხბურთის თამაშს სოჭში, ჩვენ მეზობელ, მეგობარ და ნატო-ს სტრატეგიულ ქვეყნებთან ერთად ვთამაშობთ, — აღნიშნული განცხადებით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი თურქეთში, საპარლამენტთაშორისო საფეხბურთო ტურნირში ქართველი დეპუტატების მონაწილეობას გამოეხმაურა. „ამ ტიპის ღონისძიებებით მეგობარი ქვეყნების პარლამენტებთან ურთიერთობები უფრო მყარდება. ჩვენ მივიღეთ ის პოლიტიკური შედეგი, რისი მიღებაც გვინდოდა, რაც შეეხება სპორტულ შედეგს, უკეთესი შეიძლებოდა“, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა. როგორც ბიუროს სხდომაზე ითქვა, საქართველოს პარლამენტი ანალოგიური სპორტული შეხვედრის მოწყობას ძიუდოსა და ჭიდაობის სხვა სახეობებშიც გეგმავს. ქართველ პარლამენტარებს იმედი აქვთ, რომ მათ უცხოელ კოლეგებს „კლასს აჩვენებენ“.

ცხოვრება კი, გადის... გადის კი არა და — გავიდა კიდეც და ისღა დაგვრჩენია, იმედით დაველოდოთ, როგორ ჩააყენებს ჩოქბჯენში ლუკა კურტანიძე თავის აზერბაიჯანელ კოლეგას, როგორ წამოიღებს კისრულით ზურაბ ზვიადაური თურქ ან სომეხ პარლამენტარს და როგორ დაადებინებს ხელს რომელიმე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს რომელიღაც დეპუტატს სოსო ჯაჭვლიანი.

ჭიდაობაში ვერავინ გვაჯობებს და მინდა გითხრათ, რომ სინქრონულ ცურვაშიც უპირობო ფავორიტები ვართ. ჩვენი ნაკრები — გუგული მაღრაძე და ხათუნა გოგორიშვილი. მაგათ ცხვირზე მოჭერლი შპილკა მაჩვენა და მერე მომკლა, მაგრამ მე — მე ვარ, საზოგადოებას კი წყალქვეშა ტრიალი და ბოლო აკორდის შემდეგ სახეები რომ გაუშეშდებათ ხოლმე, ის უფრო აინტერესებს.

ისე გამოვიდა, რომ კვირის ამბები სპორტით დავიწყე. კარგი იქნებოდა, შეგეხსენებინათ, რომ სპორტი ბოლოში უნდა იყოს, მაგრამ არც ახლა არის გვიან და მოდი, პოლიტიკური მოგონებებით დავკავდეთ. მთავარი პოლიტიკური ამბები კი, მოგეხსენებათ, უკრაინაში ხდება. უკრაინაში ომია. როცა იქნება, ომი დამთავრდება და აზდაკის უკვდავი სიტყვები — „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო“ — იმდენად აქტუალურია, რომ მეტი აღარ შეიძლება.

ამ 14-15 წლის წინ ჩემი ბავშვობის მეგობარმა, ნინო ხარატიშვილმა მომწერა უცხოეთიდან. აქო, — მწერდა ნინო, — რამდენიმე ქართველი ემიგრანტი გავიცანი, უკანასკნელი სიტყვებით აგინებდნენ საქართველოს, ბევრი ვეკამათე, ვეჩხუბე, საპირისპიროს ვუმტკიცებდი, მაგრამ ვერაფერი შევასმენინე, ნერვები დამაწყდა, მაგრამ შემდეგ, კარგად რომ დავფიქრდი, ღმერთს მადლობა შევწირე, მადლობა, ღმერთო, ჩემმა სამშობლომ ეს ნაგავი სამუდამოდ რომ მოიშორაო.

ჰოდა, ახლა, ზღულაძე-სააკაშვილების და საყვარელიძე-დეკანოიძეების უკრაინაში თანამდებობებზე დანიშვნის ამბები რომ მესმის, სულ ნინოს სიტყვები მახსენდება და იმედს ვიტოვებ, რომ საქართველომ ეს ნაგავიც სამუდამოდ მოიშორა, მაგრამ რომელ ქვეყანაში დაიყრებიან ეს მყარად ამორფული ნარჩენები მას შემდეგ, რაც ნაგვის გატანის პროცესი უკრაინაშიც დაიწყება?

მაინც ვერ გავიგე, მაინცდამაინც საყვარელიძეზე რატომ მახსენდება ის ამბავი, ამ ათიოდე წლის წინ ერთმა პროკურორმა თავისი საცოლის, სასიდედროს, სასიმამროს, საცოლისდოს და საცოლისძმოს ტელეფონები მოსმენაზე რომ დააყენა? ამბავი მახსენდება, თორემ პროკურორის ვინაობას ნამდვილად ვერ ვიხსენებ და თუ კიევში ჩასვლა მომიწევს, იქნებ იქ გადავაწყდე ტიპს, რომელსაც კისერზე შესაბამისი წარწერა ექნება ჩამოკიდებული — „იგი საცოლისა და სასიდედროს ტელეფონებს ისმენდა“.

ეგ იქით იყოს, იმ რეალობაში, რომელსაც ასეთი შეხსენება ამშვენებს — „ეს სამი ასოა. ნაცების ადგილი აქ არის“.

მე ხომ ნიუსები მიყვარს... ნათქვამი როა, მადლი ქენი ქვაზე დადე, გამოივლი წინ დაგხვდებაო — ეს არ არის ნიუსი. ნიუსი ის არის, ჩემი მეგობარი სააგენტოს მიერ გასულ კვირაში გავრცელებული ერთ-ერთი ნიუსი ქვაზე რომ დავდე და რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა გამოვიარე, ქვა გახეთქილი დამხვდა. ნიუსმა ქვა გახეთქა. აი, ისიც:

„დეპუტატ ეკა ბესელიას ევროსაბჭოს ევროპის სასამართლოში მოსამართლეთა არჩევის მთავარი კომიტეტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის თაობაზე გავრცელებულმა ინფორმაციამ, პარლამენტში ერთგვარი გაუგებრობა და დაბნეულობა გამოიწვია. როგორც თავად პარლამენტში ამბობენ, აღნიშნულ კომიტეტს ქვეკომიტეტი საერთოდ არ აქვს. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის აპარატი აცხადებს, რომ „ადგილი ჰქონდა მცირე ინფორმაციულ ხარვეზს“. “ადგილი ჰქონდა მცირე ინფორმაციულ ხარვეზს. ეკა ბესელია არის ევროპის საპარლამენტო ასამბლეის ორი კომიტეტის ძირითადი წევრი და ერთი ქვეკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — სტატუსით ვიცე-პრეზიდენტი. ქვეკომიტეტის სახელია, ევროპის სასამართლოში მოსამართლეთა არჩევის ქვეკომიტეტი. ქვეკომიტეტი ცალკეა, კომიტეტი ცალკეა, მაგრამ ქვეკომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს და თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა და იურიდიულ საკითხთა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტთან ერთად“, — აღნიშნული განმარტება ბესელიას საპარლამენტო კომიტეტის აპარატის წარმომადგენელმა, ირაკლი მაისურაძემ გააკეთა“.

თუ ოდესმე რამეზე საღოლ მითქვამს, აი ამ ქვეკომიტეტებიან ნიუსზე ვთქვი!

საღოლ, სიმონ, მე ვიყო გოჩა ჩერტკოევი!!!

უკრაინელებსაც მაგას ვეუბნები: თქვენი ბედი მადარდებს და თქვენ თუ არ გადარდებთ, აი ამ ჩემს ქვეკომიტეტს, მართლადამართლა!

ქვეშენიჭირიმე, ქვეკომიტეტი, ეს ჩემი სებ-ი (საქართველოს ეროვნული ბანკი).

და — უზენაესი სასამართლო, რომელიც არც უზენაესია და არც სასამართლო და რომლის თავმჯდომარეობაც რამდენიმე ათეულს სურს და ვინმე მადლიანმა ყველა ერთად რომ დანიშნოს და „უზენაესი სასამართლოს თვსმსხდომარე“ რომ დაარქვას — არა? რატომაც არა?! კი, კი და კიდევ კი!

„IDFI პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციაზე ნათია წკეპლაძის კანდიდატურა შესთავაზა“, „მედიაციის ცენტრი პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე მამუკა მდინარაძის კანდიდატურას სთავაზობს“, „პრეზიდენტის ადმინისტრაციაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე 30-ზე მეტი პირია წარდგენილი“, „თამარ

კორძაია — უმჯობესია, უზენაესი სასამართლოს თავმდომარის კანდიდატები პარტიების წარმომადგენლები არ იყვნენ“, „საქართველოს პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს თავმდომარის კანდიდატურას 28 პირისგან შერჩვს“, „ზაქარია ქუცნაშვილი — 11 საზოგადოებრივი მოძრაობის საინიციატივო ჯგუფმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დამასახელა“...

გასული კვირის მეორე ნახევარი მთავარი მოსამართლეობის მსურველთა გვარებმა წალეკა. ამდენი პირიო, იმდენმა პირმაო, ამდენ პირსო... სულ პირები და პირები. არც ერთი თავი და არც ერთი გული, არც ერთი ჯვარი და არც ერთი აგური. სულ ყვავები და პირები, ანუ ნისკარტები, მოკლედ — ქვეკომიტეტები. გამონაკლისი წესს ადასტურებს და ეს გამონაკლისი, ჩემი აზრით, არის ნინო გვენეტაძე, რომელსაც ჩემი რეკომენდაციები, ის კი არა, რომ არ სჭირდება, პირიქით, არაფერში არგებს და იქნებ ხელიც შეუშალოს — მე ხომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია არ ვარ.

კომიკური სახე მიიღო შერჩევისა და წარდგენის პროცესმა, თლა სასაცილო კი ეს სათაური იყო — „მამუკა მდინარაძის მხარდასაჭერად საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები გიორგი მარგველაშვილის სახელზე ღია მიმართვს ავრცელებენ“.

სახეებიო და... უმეტესობა არის მომღერალი, ხმები არიან. ეგ არაფერი. სახეებიო და... ნიკოლოზ რაჭველი სახეა? ნინო დარასელს და ეკა კახიანს რამე როგორ უნდა სთხოვო და მით უმეტეს, როგორ უნდა დაუჯერო? და რა დონის ქვეკომიტეტი უნდა იყო, ნინუკა ბორჩხიძეს რომ სთხოვო მხარდაჭერა?

და, საერთოდ, რას აწვება ეს პლასტილინი მარგველაშვილი და ვის ხელში იძერწება სასამართლოს მომავალი თავმჯდომარე?

„პარტიის წევრობა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად დაექვემდებარება პოლიტიკურ გავლენებს, — ამის შესახებ პრეზიდენტის მრჩეველმა კახა კოჟორიძემ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატად ზაქარია ქუცნაშვილის დასახელებაზე კომენტირებისას განაცხადა“ — ნუ, რადგან კოჟორიძემ განაცხადა, გიგაურმა არ უარყო და ლომჯარიამ არ გააპროტესტა, ჩავთვალოთ, ასეც არის, მაგრამ მარტო გიგაური ხომ არ არის და საგანელიძეც ხომ არის და არის?

„ზაქარია ქუცნაშვილს ვერ მოვარგებთ, როგორი უნდა იყოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევის კრიტერიუმები, მისი სიმაღლე, თმის ვარცხნილობა, ზომა და ფორმა, ეს ასე არ გამოვა, – აღნიშნულ განცხადებას უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე აკეთებს. როგორც საგანელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, 18 დეპუტატის დღევანდელი განცხადება თავად ქუცნაშვილის მიერ არის დანერილი, რომელსაც დეპუტატებმა შემდგომ მოაწერეს ხელი. „ორი დღე-ღამის განმავლობაში, რაც მე თურქეთში ჩემს კოლეგებთან ერთად ვიყავი, არც ერთი კითხვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატურის შერჩევის და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმების შესახებ არ დასმულა. ზაქარია ქუცნაშვილს იმის სურვილი აქვს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდეს. ძალიან გამიკვირდა, როდესაც თურქეთიდან წამოსვლის შემდეგ გავიგე, რომ მან საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. დღეს მოვისმინე ზაქარია ქუცნაშვილისგან, მოდი ვიტყვი, თავხედურად ნათქვამი, რომ...“ — ერთად უთამაშიათ თურქეთში ფეხბურთი და ერთად თამაშობენ პოლიტიკოსობანას.

„უკვე იუმორში გადადის ეს თემატიკა. როგორც ჩანს, ბატონი დავითი აგონიაში, რადგან საუბრობს, რომ კრიტერიუმი არ განხილულა და ბატონი ზაქარია რომელი ოთახიდან გამოვიდა“, — განაცხადა ქუცნაშვილმა და დასძინა, რომ დავით საგანელიძემ „შეუსაბამო განცხადებებით საკუთარი თავის სრული დელეგიტიმაცია მოახდინა...“

მესმის, გრიპის სეზონია, მაგრამ რაღაც ძაან მაგრად აჟრიალებთ და არა მგონია, ეს ვირუსის ბრალი იყოს.

„აკრძალვა, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არ უნდა იყოს პარტიის წევრი, კანონმდებლობაში არ არსებობს, მაგრამ ყველა მხრივ უნდა შემოწმდეს, რამდენად იქნება კანდიდატი პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი, — ამის შესახებ ჟურნალისტებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა განუცხადა. რაც შეეხება უშუალოდ კრიტერიუმებს, რასაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე უნდა აკმაყოფილებდეს, მისი აზრით, ესენია კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი“.

კუბლაშვილი რა თავხედია?! ზედხედზე და გვერდხედზე აღარაფერს ვამბობ. საგანელიძე აგონიაშია, ქუცნაშვილი სამომავლო პოლიტიკური გეგმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესშია, მაგრამ ქვეყანა სად არის, სად? „ჩვენ მოვესწრებით იმას, როდესაც ჩვენი სახელმწიფო გვექნება“ — განაცხადა გასულ კვირაში უსუფაშვილმა. როდის? როოოდიიიის?! მანამდე რა ვქნათ, უ-ტომატო სუპი ვჭამოთ?

გასულ კვირაში კარგი ნიუსი არ ყოფილა, იყო მხოლოდ ერთი კარგი სათაური — „ქუთაისში ბიბლიოთეკა გაქურდეს“. გულის ფანცქალით დავიწყე კითხვა, მეთქი, წიგნები მოიპარეს, სხედან და კითხულობენ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ და არ დამეხოცოთ (იქნებ, მართლა მოვესწროთ ქართულ სახელმწიფოს) — კომპიუტერები მოუპარავთ და სხედან ახლა სადმე და სუპერმარიოს უბერავენ და ნაცებიც უბერავენ ძველებურად — ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პარლამენტს სთავაზობს, მშობელს, სურვილის შემთხვევაში, შვილის სკოლაში ხუთი წლის ასაკიდან შეყვანის შესაძლებლობა მიეცეს. ზოგადი განათლების შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილებების პროექტი პარლამენტში ინიცირებულია, რომელიც დეპუტატმა კობა სუბელიანმა წარადგინა.

აი, კობა სუბელიანი რომ განათლებაზე ისაუბრებს, იმ პარლამენტს არმაგედონის ზანგმა სულ ქვეკომიტეტი უნდა ურტყას თავში, მაგრამ ერთი რამ მენიშნა — 5 წლის ასაკიდანო, და ერთი რამის მეშინია — მანანა კობახიძემ სკოლაში ბავშვების შეყვანის ასაკად 41 წელი არ დაადგინოს.

წარმოვიდგინე: ზის 41 წლის კობა სუბელიანი პირველ კლასში, ორჯერ ორი ხუთი ჰგონია და ერთი სული აქვს, როდის მიაღწევს დამამთავრებელ კლასებამდე და როდის დაიწყებს იმ საგნის შესწავლას, რომელი საგნის სწავლების შესახებაც განათლების სამინისტრომ გასულ კვირაში გამოაცხადა — საქართველოს სკოლებში ახალი საგნის სწავლება იწყება. ახალი საგნის სახელწოდებაა — „მე და საზოგადოება“. „შინაარსი ისეა დალაგებული, რომ მოსწავლეს განუვითაროს თვითანალიზის უნარი. განსაზღვროს საკუთარი სოციალური როლი და იდენტობა ოჯახთან მიმართებაში, საზოგადოებასთან მიმართებაში, სკოლაში, მიკროსოციუმში, სამეგობროში. გაიაზროს, როგორ შეიძლება განივითაროს საკუთარი ნიჭი. რატომ უნდა ჰქონდეს ღირსების გრძნობა, რა პასუხისმგებლობა აკისრია, როგორ უნდა მიხედოს საკუთარ თავს, რომ ის იყოს სრულფასოვანი წევრი — აქ იგულისხმება ჰიგიენის საკითხებიდან დაწყებული, მეტყველების თემები“, — განმარტა მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა“.

უჰ... და აქვე მეორე უჰ — უკრაინაში პატრიარქი ფილარეტის მიერ მორიგი დაჯილდოება გაიმართა. მან ქართველ მებრძოლებთან ერთად ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის” გამგეობის წევრი კობა ხაბაზი და ასევე უკრაინის მოქალაქეები დააჯილდოვა ორდენით — უკრაინის მიმართ „სიყვარულისა და ერთგულებისთვის“.

სიყვარული და ერთგულება... ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის” გამგეობის ერთი წევრის შესახებ გამიგია, ყოველი სიყვარულის შემდეგ ერთი და იგივე ვენეროლოგთან დადის ერთგულადო.

ნუუუ... თუ რიანა და ლედი გაგა მომღერლები არიან, რატომ არ შეიძლება, კობა ხაბაზი მოსიყვარულე და ერთგული იყოს?

კარგად დაიმახსოვრეთ, არ დაივიწყოთ, ხშირ-ხშირად შეგახსენებთ ხოლმე, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, ერთი სამახსოვრო წარწერაც გავაკეთოთ — „ეს კობა ხაბაზია, დილა-საღამოს ქვეკომიტეტი უნდა ურტყა თავში“.

ა.გ.ც. (ასე გადის ცხოვრება) ამ წესით ცხოვრება მეტისმეტად დიდ სიფხიზლესა და უზარმაზარ მორალურ ძალას მოითხოვდა, რადგან ბევრი მაკონდოელი თავისსავე მოგონილ და წარმოსახულ სინამდვილეში ჩაკეტილიყო. მართალია, ეს სინამდვილე დიდი ვერაფერი პრაქტიკული ჩანდა, მაგრამ სამაგიეროდ სულს უმშვიდებდა მაინც.

(გაბრიელ გარსია მარკესი, „მარტოობის ასი წელი“)

„რომ ვიცოდე, ზაქროს თავში რა ხდება, რაღაცას ვუშველი — ექიმი ვარ!“

რა ხდებოდა უმრავლესობის სამსაათიან დახურულ სხდომაზე — დავით საგანელიძე „ვერსიას“ დეტალებს უყვება

ნინო კომახიძე
599-95-33-16

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება პოლიტიკურ არჩევნებს დაემსგავსა. დებატები, საქმის გარჩევა, ურთიერთბრალდებები, კომპრომატების ომი — ლამის ერთი კვირაა, პარლამენტი ამ რეჟიმში მუშაობს, მედია კი იმის გარკვევას ცდილობს, რა იყო ის კრიტერიუმი, რომელიც დავით საგანელიძემ პრეზიდენტს ჩასჩურჩულა... სინამდვილეში, რაზე ილაპარაკეს ფრაქციის სამსაათიან სხდომაზე და რა ვერ გაიყვეს ზაქარია ქუცნაშვილმა და დავით საგანელიძემ? — „ვერსია“ უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძეს ესაუბრა.

— ბატონო დავით, რამდენიმედღიანი გარჩევების მერე თქვით, თუ ქუცნაშვილის კანდიდატურას დაასახელებენ, ხმას მივცემო. რატომ?

— მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, თან, ჩემი კოლეგაა, ახალგაზრდა კაცია და მეორე შანსს მივცემ — შევუნდობ. მეორეხარისხოვანი ნამდვილად არაა, ვინ იქნება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ზაქარია ქუცნაშვილი კი ჩემს კრიტერიუმებში ნამდვილად არ ჯდება.

— აბა, ხმას რატომღა აძლევთ?

— ვიცი, ახლა ჩემს თავს ვეწინააღმდეგები. ასეთი ადამიანის თავმჯდომარეობას ხელი რომ შევუწყო, მართალი არ ვიქნები, მაგრამ, არც ის მინდა, თუ საერთოდ დასახელდა, ზაქარიაზე შურისძიების გამო, ხმა მის წინააღმდეგ მივცე. ჩემი, ერთი კაცის გადასაწყვეტი რომ იყოს, უნდა გახდეს თუ არა ქუცნაშვილი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავს ამის უფლებას არ მივცემდი. აი, რომ ვიცოდე, ვერ გადის, მხარს დავუჭერ, რადგან ბოლმა არ ვარ.

— გადამწყვეტი თქვენი ხმა რომ აღმოჩნდეს?

— არა, ამ შემთხვევაში, არ მივცემ: ქვეყანას უფრო წინ დავაყენებ, ვიდრე საკუთარი თავისთვის რაღაცის დამტკიცებას.

— ყველას გვეგონა, რომ პარასკევს, ფრაქციის სამსაათიან სხდომაზე, თემა ამოიწურა, მაგრამ შეხვედრის მერე ახალი ბრძოლა გაჩაღდა. გავხსნათ კარტი — ქუცნაშვილი ბრალს გდებთ, რომ ფრაქციის თავმჯდომარეობიდან მისი წასვლის შესახებ ინფორმაცია გამოიტანეთ და შეთანხმება დაარღვიეთ. ასეა?

— არა, რას ამბობთ, მსგავსი არაფერი ყოფილა. ქუცნაშვილი რომ თავმჯდომარე იყო და აღარ არის, ეგ რა შეთანხმებაა?! მიზეზებზე არ მისაუბრია, მხოლოდ ვთქვი, ქუცნაშვილი არც ფრაქციის თავმჯდომარეა, არც პოლიტსაბჭოს წევრი, მას თანამდებობა არც ფრაქციაში უჭირავს, არც პარლამენტში, ამიტომ ვერ ვხედავ, მისი კანდიდატურა რატომ არ უნდა დასახელდესმეთქი. დიახ, ის ფრაქციის თავმჯდომარე იყო და გადავაყენეთ.

— ჰოდა, რატომ გადააყენეთ?

— ამაზე არ მისაუბრია და არც ვისაუბრებ, თუმცა შეთანხმება არ არსებობს — მოდი, არავინ არაფერი ვთქვათო. ჩემი ოჯახის პრობლემები გარეთ გამომიტანია, ან ეს კამათიც მე დავიწყე?! მომხდარზე მართლა დამწყდა გული, რადგან რამდენიმე დაუმსახურებელი ბრალდება წამომიყენეს: პრეზიდენტთან მოლაპარაკების ლეგიტიმაცია არ გქონდაო და ეს თემა გავარკვიეთ. მეორე ბრალდება იყო, ქუცნაშვილმა იმ კრიტერიუმების შესახებ, რაზეც პრეზიდენტთან ვისაუბრე, არ იცოდაო. არადა, ეს კრიტერიუმები კოალიციის პოლიტსაბჭოსა და პარლამენტის უმრავლესობის ბიუროზე შეთანხმდა, სადაც ყველა ფრაქციის ხელმძღვანელი, კომიტეტის თავმჯდომარე და უმრავლესობის ვიცე-სპიკერები იყვნენ.

— თუ ასეა, აბა, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, დიმიტრი ხუნდაძე რატომ ამბობდა, ჩემთვის მსგავსი არაფერი იყო ცნობილიო. რომელს დაგიჯეროთ?

— უმრავლესობის ხელმძღვანელი ვარ, რომელშიც 7 ფრაქციაა. როგორ ფიქრობთ, ყველა ფრაქციაში უნდა მივიდე და მის წევრებს ყველაფერი ცალ-ცალკე ვუამბო? შეიძლება, დღეში რამდენჯერმე დამჭირდეს უმრავლესობასთან საუბარი და 87 კაცი უნდა შევყაროთ, თუ როგორაა ჩვენი საქმე? კითხვები არცერთი სხვა ფრაქციიდან არ ყოფილა, ამ ერთის გარდა და ეს თემა უკვე უმრავლესობის კი არა, ერთი ფრაქციის პრობლემა გამოდის!

— ესე იგი, ჯოხი გია ვოლსკიზე უნდა გადატყდეს, რომელმაც ფრაქციის წევრები საქმის კურსში არ ჩააყენა?

— არა, ჯოხს არავისზე ვტეხ, მაგრამ საგანელიძეზე რატომ უნდა გადატყდეს, როცა ამ ფრაქციასთან არაფერ შუაში ვარ?! საერთოდ, მოგონილია ეს ჯოხიც და პრობლემაც. ზაქარიას სურდა, როგორმე იმ 28 კაცში გამოჩენილიყო, რომელთა სიაც პრეზიდენტს აქვს და, ალბათ, იფიქრა, რაც მეტად შევუტევ საგანელიძეს, უფრო მაგარი გამოვჩნდებიო.

— ყველას ჰგონია, რომ ეს კრიტერიუმები — როგორი უნდა იყოს თავმჯდომარე, ქაღალდზე ჩამოწერეთ და პრეზიდენტს მიუტანეთ, რომელმაც დაგიჯერათ. თავიდან ბოლომდე მომიყევით, ორივე შეხვედრაზე რაზე ისაუბრეთ და ბოლობოლო, ეს კრიტერიუმები როგორია?

— რა კარგია, ეს რომ მკითხეთ! ჯერ ერთი, ქაღალდზე ჩამოწერილი კრიტერიუმები არ არსებობს. საუბრის თემა ჯერ შეხვედრის ფორმატის დაგეგმვა იყო და ყველამ ერთად ვამჯობინეთ, პრეზიდენტს 90 კაცი კი არა, ერთი შეხვედროდა, ყველას სახელით. მეორე თემა ის იყო, კანონით გათვალისწინებულის გარდა, კიდევ რა თვისებები და გამოცდილება უნდა ჰქონდეს თავმჯდომარეობის კანდიდატსო. ამის მერე, შევხვდი კომიტეტების, ფრაქციების თავმჯდომარეებს და ვკითხე, რა მოსაზრებები გაქვთ-მეთქი. მეორე დღეს პრეზიდენტს უნდა შევხვედროდი და მინდოდა, ყველაფერი კარგად ჩამოყალიბებული გვქონოდა. შეხვედრაზე მოსაზრებები მართლაც გამოითქვა: სასურველია, კანდიდატი სასამართლო სისტემაში ნამუშევარი იყოს, თუ მოსამართლედ არა, მის თანაშემწედ, ან იურისტად მაინც, სულ ბოლოს კი — პროკურორადო. ასევე, ითქვა, რომ კანდიდატი არ უნდა იყოს ანგაჟირებული და სხვადასხვა გახმაურებულ საქმეში ჩართული პირი. მესამე — იგი არ უნდა იყოს განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვის მქონე ლიდერი, რომელიმე პარტიის სახე და თანამდებობის პირი, მინისტრი და ა.შ. პირი არ უნდა იყოს პოლიტიკური წნეხის ქვეშ.

— როგორც ჩანს, დავა, სწორედ მესამე ნაწილმა გამოიწვია. რა გულისხმობთ, როცა ამბობთ, კანდიდატი პოლიტიკური წნეხის ქვეშ არ უნდა იყოსო?

— აგიხსნით: როცა პარტიის წევრი ხარ და მის მსოფლმხედველობას იზიარებ, ეს წნეხის ქვეშ ყოფნას სულაც არ ნიშნავს. სხვა საქმეა, როცა ამ პარტიაში სხვა ადამიანების ლიდერი ხარ, პოლიტიკური თანამდებობა გიკავია, გენმდივანი ან პოლიტსაბჭოს წევრი ხარ და ა.შ. ზაქარიას ეს ბარიერები ხელს არ უშლის და არ მესმის, რა ანერვიულებს. ალბათ, პიარი გაიკეთა. 28 წევრი ხომ არის იმ სიაში, სადაც მართლაც, სერიოზული, პროფესიონალი ადამიანები არიან, მაგრამ ყველა მხოლოდ ქუცნაშვილზე ლაპარაკობს.

— ანუ, თვლით, რომ ამ არეულობის მიზანი პიარი იყო?

— არ ვიცი, ზაქროს ჰკითხეთ. მტერმა ჩაიხედა მაგის ტვინში. რომ ვიცოდე, მის თავში რა ხდება, რაღაცას ვუშველი — ექიმი ვარ.

— ამხელა ალიაქოთის შემდეგ, რატომ ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგა? ისე, ყური მოვკარი, უმრავლესობის ლიდერობიდან თქვენს გადარჩევაზეც იყო საუბარი...

— მსგავსი არაფერი ყოფილა! ყველას ვუსაყვედურე, თუ რამე კითხვა გქონდა, ან დაგერეკა, ან მოსულიყავი, პირდაპირ განცხადებების კეთება რომ დაიწყე-მეთქი. ორი დღე და ღამე, 15 დეპუტატთან ერთად, სტამბოლში ვიყავი, მათ შორის, ქუცნაშვილსა და ხუნდაძესთან და კითხვა თუ ჰქონდათ, რატომ არაფერი მკითხეს? ღამით სტამბოლიდან გამოვაცილე და დილას გავიგე, რომ ქუცნაშვილის კანდიდატურა წარადგინეს. გამეხარდა, რადგან მანამდე ეს არ ვიცოდი და არც ეს თემა ყოფილა შეთანხმებული, მაგრამ მის მიერ განცხადების შეტანას ჩემი ლანძღვა-გინებაც მოჰყვა. ახლა თქვენ გინდათ, ზაქარიას ფენომენი ავხსნა?! მართალია, ჩემზე ამბობდნენ, კარგი ქირურგია და ფანტასტიკურ დიაგნოზს სვამსო, მაგრამ ბოდიში, ზაქარიას მაინც ვერ ავხსნი. დიდი ხანია, ხან მარჯვნიდან, ხან მარცხნიდან მივლის.

— დიახ, ეს თქვენს შორის პირველი დავა არაა და ამიტომ გეკითხებით, რეალურად რა ხდება?

— დარწმუნებული ვარ, ხვალ და ზეგ, როცა ეს ამბავი ჩაცხრება და ზაქარია ისევ ყველას დაავიწყდება, ახალ თემას მოიგონებს, ალბათ, ისევ ჩემზე და ისევ გამოჩნდება ტელეეკრანებზე, თავს კადრებში დაინახავს და გაეხარდება. ალბათ, ესაა მისი პრობლემა, თან, რაც მთავარია, პრეზიდენტმაც გაიხსენა, რომელია ეს ქუცნაშვილი. უმრავლესობის სახელით, იღლიაში კონსტიტუციაამოდებული რომ ავიდა პრეზიდენტთან, ვინმეს რამე ჰკითხა, ან ვინმემ უსაყვედურა ეს ამბავი?! კი ბატონო, იაროს თავისთვის, ხან ზემოთ გაისეირნოს, ხან ქვემოთ.

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ კი მიდის და...

— ვერა, ვერ წავა. ეს ქვეყანა მართლა ჩალით ხომ არაა დახურული?

— სხვა რამ მაინტერესებს — უმრავლესობა ერთ კანდიდატზე შეთანხმებული რომ არაა, ისევ ჩიხში ხომ არ შევდივართ, რადგან წარდგენილი კანდიდატურა ჩავარდება და კიდევ დიდხანს დავრჩებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გარეშე?

— ჩვენ რომ რომელიმე კანდიდატურა დავასახელოთ და ვთქვათ, მხარს მას ვუჭერთ, ამით რთულ მდგომარეობაში პრეზიდენტს ჩავაყენებთ.

— უკვე ჩააყენეთ — ამ ამბების ქვეტექსტი ასე გავიგე, რომ უმრავლესობის ნაწილი, თუ ზაქარია ქუცნაშვილი არ დასახელდება, სხვა კანდიდატურას, აპრიორი, ჩააგდებს...

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, უმრავლესობა არაფერზე, არც ერთ კანდიდატზე არ შეთანხმებულა. მეტიც, ვთქვით, საერთოდ არ ვისაუბროთ არცერთ კანდიდატზე და პრეზიდენტს გადაწყვეტილების მშვიდად მიღების საშუალება მივცეთო. პრეზიდენტს ისიც შევთავაზე, დასახელებულ კანდიდატურას გასვლის მეტი შანსი რომ ჰქონდეს, ერთის ნაცვლად, 2-3 პირი დაასახელეთ-მეთქი.

დასასრული მე-4 გვერდზე

ვერსიანიუსი

პოლიციამ ქურდობაში ეჭვმიტანილი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ალექსანდრე ს. ქურდობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2015 წლის 3 თებერვალს, ღამით, ფარულად შეაღწია ტექნიკის სახლ „ოქეიში“, „ორიონისა“ და „სამსუნგის“ ფირმების 13 ტელევიზორი, „ბალუს“ ფირმის 6 ელექტროგამათბობელი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 29 იანვარს ალექსანდრე ს-მ სავაჭრო ცენტრ „სმაილიდან“ „ჰონდას“ და „სამსუნგის“ ფირმების 6 ტელევიზორი მოიპარა.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მოპარული ტექნიკის ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ მეტადონის შემცველი 24 შეკვრა ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1957 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თეიმურაზ მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ზუგდიდში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 24 შეკვრად დაფასოებული 8,34 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 4,3672 გრ მეტადონს შეიცავს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

კომერციული ბანკები იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთს არ გაზრდიან!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

11 თებერვალს, საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით გაიზარდა და 4.5% გახდა, რაც ნიშნავს, რომ რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული საბანკო, იპოთეკური და ბიზნეს-სესხების საპორცენტო განაკვეთიც უნდა გაიზარდოს, თუმცა იპოთეკური და ბიზნეს-სესხების მოცულობა დიდი არაა, თანაც ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა რეფინანსირების განაკვეთი მხოლოდ 0,5%-ით გაზარდა და ამიტომ, კომერციული ბანკები ბიზნეს და იპოთეკური სესხების პროცენტს აღარ გაზრდიან.

ეროვნული ბანკი მთავრობას საბიუჯეტო ხარჯებისა და ბიუროკრატიის შემცირებას ურჩევს

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ინფლაციის მოლოდინის ზრდის გასანეიტრალებლად, მონეტარულმა კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შერბილებული მონეტარული პოლიტიკა ეტაპობრივად გაამკაცროს. მიუხედავად ამისა, რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი ნეიტრალურ ნიშნულზე დაბლა რჩება. ეროვნული ბანკის პროგნოზით, თუ ეკონომიკაზე მოქმედი სხვა შოკი არ გამოიკვეთება, 2015 წლის ბოლოს, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 5%-ის ფარგლებში იქნება.

„არსებული პროგნოზით, 2015 წლის პირველ ნახევარში, ინფლაცია 5%-იანი მიზნობრივი ნიშნულის დაბლა შენარჩუნდება. იანვარში წლიური ინფლაცია 1.4% იყო. 2015 წლის პირველ თვეში ინფლაციის შემცირება საწვავის გაიაფებას ასახავს, ხოლო საბაზო ინფლაცია 3.2%-მდე გაიზარდა. პროგნოზები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეგზოგენურ (გარე) ფაქტორებზე და ცვლილების რისკებს ორივე მიმართულებით შეიცავს. საგარეო დისბალანსის დროს, გაცვლითი კურსის ცვლილება ეკონომიკის ბუნებრივი რეაქციაა, რაც ეკონომიკაზე ნეგატიური ზეგავლენის შერბილებას უწყობს ხელს. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურ გამოხატულებაში არ გაუფასურებულა, თუმცა ლარი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურდა. ვინაიდან საქართველოში დოლარიზაციის მაღალი დონეა, აშშ დოლარის მიმართ ლარის გაუფასურება ქმნის ინფლაციის დამატებით რისკებს ანუ დოლარით დენომინირებული სესხების მომსახურებაზე გაზრდილი შუალედური ხარჯების შედეგად, ინფლაციის მოლოდინს ზრდის. არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა, მიზანშეწონილად მიიჩნია, ინფლაციური რისკების შესამცირებლად, მონეტარული პოლიტიკა გაემკაცრებინა“, — აცხადებენ ეროვნულ ბანკში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ ინფორმაციით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, იმ სესხების საბაზრო განაკვეთის ზრდა მოჰყვება, რომლებიც რეფინანსირების განაკვეთზეა მიბმული. „საზოგადოება და ბანკებში“ აცხადებენ, რომ ამ პროცესის შედეგად, შემცირდება ერთობლივი მოთხოვნა, ეკონომიკის დაკრედიტება და ფასების საერთო დონე. საბოლოოდ, მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტაც შემცირდება, რაც ლარის გაცვლით კურსს დროებით დაასტაბილურებს, თუმცა მიმოქცევაში არსებული ეროვნული ვალუტის შემცირება ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება:

„მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და საბაზრო განაკვეთებისთვის ერთგვარ ორიენტირსაც წარმოადგენს. იმის გამო, რომ ბოლო თვეებში სახეზეა ეროვნული ვალუტის მკვეთრი დევალვაცია და ქვეყანაში მიმდინარე ნეგატიური ეკონომიკური პროცესები, ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გაეზარდა. იმისთვის, რომ ლარის კურსი დროებით მაინც დასტაბილურდეს, ეროვნული ბანკის ფულადსაკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის, ამ ეტაპზე, რეფინანსირების განაკვეთის ზრდა ყველაზე ოპტიმალურია. მართალია, ამით ეროვნული ვალუტა დასტაბილურდება, მაგრამ მხოლოდ დროებით. აუცილებელია, ისეთი ფუნდამენტური ფაქტორებიც გამოსწორდეს, როგორებიცაა — ინვესტიციების ზრდა, საგარეო სავაჭრო სალდოს გაუმჯობესება და სხვა.“

არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემებით, 2015 წლის იანვრის მდგომარეობით, რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული იპოთეკური სესხი 4 902 ფიზიკურ, ბიზნესსესხი კი 2 111 იურიდიულ პირს აქვს. ექსპერტების შეფასებით, ეს ის რაოდენობა არაა, რასაც რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხების საპროცენტო განაკვეთების ზრდა უნდა მოჰყვეს. სპეციალისტების შეფასებით, კომერციული ბანკები საკუთარ კლიენტებს დამატებით პრობლემებს არ შეუქმნიან, რადგან იპოთეკური და ბიზნესსესხები, ჯამში, 6 000-ზე მეტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს.

„ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, **რომან გოცირიძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ეროვნული ბანკის მონეტარულმა კომიტეტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც რეფინანსირების განაკვეთის ზრდის პარალელურად, ინტერვენციები განახორციელა:

„ინტერვენციების ეფექტი უმნიშვნელო იქნებოდა, რომ არა ლარის კურსის მერყეობა ახალი წონასწორობის ნიშნულის სიახლოვეს. შემდეგი ნაბიჯი უკვე მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა უნდა გადადგას, რადგან ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ფასების სტაბილიზაციაა და არა გაცვლის კურსის კონტროლი. იმის გამო, რომ ქვეყანაში ფასების ზრდის რეალური საფრთხე გაჩნდა, ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა. ეკონომიკაში წარმოქმნილ დისბალანსს, უცხოური ვალუტის შემოდინების კლებასა და ბიუჯეტის დეფიციტით წარმოქმნილ პრობლემებს ეროვნული ბანკი ვერ მოაგვარებს. მთავრობამ უნდა შეკვეცოს ბიუჯეტის ხარჯები, დაახლოებით, 200-400 მილიონი ლარის ფარგლებში იმ სცენარიდან გამომდინარე, თუ როგორ წარიმართება პროცესები, რათა ნოემბერ-დეკემბერში მოვლენები ისე არ განვითარდეს, როგორც შარშან და შარშანწინ“.

რაც შეეხება ლარში გაცემული სესხების პროცენტის კორექტირებას, რომან გოცირიძის განმარტებით, ეს ავტომატურად არ ხდება და ბანკების კეთილ ნებაზეცაა დამოკიდებული. მართალია, რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხების მოცულობა დიდი არ არის, მაგრამ ეს საკმაოდ მტკივნეული თემაა მოქალაქეებისთვის, რომლებსაც იპოთეკური სესხები აქვთ აღებული. ამიტომ გოცირიძე აცხადებს, რომ კომერციულმა ბანკებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის დიდი ზიანი, რაც ხალხს მიადგა და ნახევარ პროცენტს არ უნდა გამოეკიდონ:

„რეფინანსირების განაკვეთზე იპოთეკური და ბიზნეს-სესხებია მიბმული, რაც რაოდენობრივად, დიდი თანხა არაა. ამიტომ თუ კომერციული ბანკები საკუთარი კლიენტების მდგომარეობაში შევლენ და სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს არ გაზრდიან, ეს სწორი მარკეტინგული სვლა იქნება, რითიც კლიენტებში ნდობის ხარისხს შეინარჩუნებენ. მთლიანობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი ფულის მასას ზღუდავს, რადგან აძვირებს კრედიტებს. იმის გამო, რომ ეს დიდი მოცულობის სესხებს არ ეხება ანუ კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსების მთავარ წყაროს, იპოთეკური და ბიზნესსესხების საპროცენტო განაკვეთების 0.5%-ით ზრდას აზრი არ აქვს. ამ კონკრეტული ნაბიჯით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მთავრობა გააფრთხილა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული თანხა ზომიერად დახარჯოს და შეზღუდოს ბიუროკრატია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე, ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. ამ გადაწყვეტილებით, ეროვნულმა ბანკმა მთავრობას აჩვენა, რომ მზადაა, მონეტარული პოლიტიკა გაამკაცროს. ეროვნული ბანკის მონეტარული კომიტეტის ნაბიჯი სიგნალია მთავრობისთვის, რათა მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა შეცვალოს, ყველა არასწორი რეგულაცია გააუქმოს, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს დაუბრუნდეს და ეკონომიკას ხელი არ შეუშალოს. ეკონომიკას მთავრობის ზრუნვა, წახალისება და მოვლა არ სჭირდება, ამას ბიზნესი თვითონ გააკეთებს“.

რეფინანსირების განაკვეთის 0.5%-ით ზრდა იმას ნიშნავს, რომ, თუ პირობითად, ადამიანს 10 000-ლარიანი იპოთეკური სესხი აქვს აღებული, 50 ლარით მეტის გადახდა მოუწევს, რაც დიდი თანხა არ არის, თუმცა, როგორც რომან გოცირიძემ „ვერსიას“ განუმარტა, პირობითად, ამ 50 ლარის გამო, კომერციული ბანკები საკუთარ კლიენტებთან ურთიერთობას არ გაიფუჭებენ და საპროცენტო განაკვეთებს ნახევარი პროცენტით არ გაზრდიან. მისი თქმით, იპოთეკური და ბიზნესსესხების 0.5%-ით ზრდა, კომერციულ ბანკებს დიდ მოგებას არ მოუტანს.

დავუშვათ, იურიდიულ პირს 5 წლის ვადით, წლიური 12%-იანი აგროსესხი აქვს აღებული. უხეში გათვლებით, საპროცენტო განაკვეთის 0.5%-იანი ზრდის შემთხვევაში, 5 წელზე, დაახლოებით, 140 ლარი დაემატება, რაც თვეში დაახლოებით, 3.5 ლარი გამოდის. სწორედ ამიტომ აცხადებს რომან გოცირიძე, რომ ნახევარპროცენტიანი ზრდა კომერციულ ბანკებს მოგებას არ აძლევს. რაც მთავარია, კომერციულ ბანკებს იმის რესურსი ნამდვილად აქვთ, რომ ამ პირობებში, სესხებზე პროცენტი არ გაზარდონ.

სინამდვილეში, ლარის დევალვაციის გამო, დღეს სერიოზული პრობლემა იმ ადამიანებს აქვთ, რომლებსაც სესხები დოლარში აქვთ აღებული, ხოლო ხელფასს ეროვნულ ვალუტაში — ლარში იღებენ. იმისთვის, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთის გადასახადი გადაიხადონ, მათ ვალუტის კონვერტაცია უწევთ, რის გამოც სერიოზულ ფინანსურ ზარალს განიცდიან. სპეციალისტების შეფასებით, დღეს სწორედ ამ კატეგორიის მსესხებლებს აქვთ პრობლემა და არა — იმ პირებს, რომლებსაც იპოთეკური და ბიზნესსესხები ლარში აქვთ აღებული.

„რომ ვიცოდე, ზაქროს თავში რა ხდება, რაღაცას ვუშველი — ექიმი ვარ!“

მე-3 გვერდიდან

— ჰოდა, ამის მერე სწორედ ქუცნაშვილს უნდა შეეთავაზებინა პრეზიდენტისთვის, ამ „მოკლე სიაში“ არჩეულებს შორის, საჯარო დებატები გავმართოთო. მეჩვენება, თუ ეს პროცესი პოლიტიკურ არჩევნებს ემსგავსება?

— ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იმით უნდა შევაფასოთ, რამდენად ვაჟკაცურად უჭირავს თავი დებატებზე. ასეთი პოლიტიკოსი უფრო უნდა იყოს, ვიდრე — სასამართლოს თავმჯდომარე.

— სხვა რა საკითხებზე იყო საუბარი ფრაქციის სხდომაზე? ჩემი ინფორმაციით, პარტიის წევრებმა დავალება მიიღეს, პოლიტიკური რეიტინგები რეგიონებში გაეზომათ. ამ ინფორმაციას ადასტურებთ?

— ფრაქციის სხდომა 3,5 საათი გრძელდებოდა და აქედან ბოლო რამდენიმე წუთი, ისიც, ჩემი ინიციატივით, ამ ინციდენტზე საუბარს დაეთმო. მთავარი თემები დელეგაციებსა და კომისიებში კვოტირებები, ასევე, მარეგულირებელი კომისიის კანდიდატურების საკითხი იყო. ეს საკითხი გავიარეთ, მაგრამ ვერ შევთანხმდით, რადგან პრეზიდენტის მიერ 3 ვაკანსიაზე წარმოდგენილ 3-3 კანდიდატზე საკმარისი ინფორმაცია არ გვქონდა, ამიტომ ითქვა, შესათანხმებლად კიდევ რამდენიმე დღე ავიღოთო. ასევე, საუბარი ნამდვილად იყო რეგიონებში არსებულ ვითარებაზე.

— შედეგებით უკმაყოფილო ხართ და ვადამდელ არჩევნებზე მართლა ფიქრობთ?

— არა, დეპუტატებს ჰქონდათ დავალება თუ თხოვნა, რეგიონებში არსებული ვითარება შეესწავლათ. გაეგოთ, როგორ მუშაობს საკრებულო, გამგეობა, რა პრობლემებია პარტიაში. რეიტინგული კვლევა ნამდვილად არ ჩატარებულა. მივიდნენ და პარტიულ აქტივს ჰკითხეს, რა მდგომარეობა იყო რაიონებში. კითხვარები არ შეგვიდგენია. ეს დეპუტატის კი არა, კვლევითი ორგანიზაციების საქმეა. რაც შეეხება ვითარებას, ზოგიერთი რაიონით კმაყოფილი ვარ, ზოგან — ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ზოგან — არაუშავს. ზოგადად, პარტიაში მართლაც ბევრი რამაა გასაკეთებელი და ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

— უმრავლესობაში ვადამდელ არჩევნებზე საუბრობთ?

— შეიძლება, ჭორის დონეზე ვიღაცას ეს უნდა კიდეც, მაგრამ ამაზე უმრავლესობა არ საუბრობს. რამე გადაწყვეტილება რომ იყოს მიღებული, მერწმუნეთ, ნამდვილად მეცოდინებოდა. საუბრები შეიძლება, მიდის, მაგრამ ყველაფერს თავისი წესი აქვს. როგორ უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები კონსტიტუციურად — მთავრობა გადადგეს და ახალი არ ავირჩიოთ?

— ან, 76-მა კაცმა მანდატი დადოს. ამ ვერსიას პარლამენტში ლუკა კურტანიძის გაჭიანურებული შემოსვლაც ამყარებს.

— მართლა ფიქრობთ, რომ პარლამენტში 76 ისეთ კაცს იპოვით, ვინც მანდატს დადებს? საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სწორედ მე დავდებ მანდატს, მაგრამ ამას კიდევ ვინ გააკეთებს? პარლამენტის ამ შემადგენლობიდან მანდატები მხოლოდ მე და ეკა ბესელიამ დავდეთ, თან მე ორი მანდატი დავდე — დიდუბის მაჟორიტარისა და პროპორციული სიის. შეიძლება, ისეთი რამ მოხდეს, რომ ამის საჭიროება დადგეს, მაგრამ ამას 76 კაცი არ გააკეთებს.

— ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, რიგგარეშე არჩევნების საჭიროება არ დგას ქვეყანაში?

— ამის საჭიროება მაშინაა, როცა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია. მე კი ამას ჯერ ვერ ვხედავ.

— მთელი ქვეყანა ჯოკია ბოდოკიაზე ლაპარაკობს, კრიზისი, აბა, რა არის!

— აი, ამ საკითხში ძალიან მკაცრი ვარ — საერთოდ, ვინ იყო ეს კაცი, როცა ამხელა ნდობის შედეგად, ახალი ხელისუფლება ენდო, თანამდებობაზე მოიყვანა და ამდენი გაბედა?! მე თუ მკითხავთ, ეგ კაცი ციხიდან საერთოდ არ უნდა გამოუშვან, რადგან თავის მოვალეობას საზიზღრად ასრულებდა.

— და ცოტა ხანში გირაოთი რომ გამოვიდეს?

— აი, ვინც მას გამოუშვებს, ის უნდა შეაგდო ციხეში!

სააკაშვილის რეჟიმის 62 მაღალჩინოსანი, რომელზეც ხელისუფლებამ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო და უმძიმეს ბრალდებას უყენებს!

გიორგი იაშვილი

ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს ერთი ამბავი აქვთ ატეხილი, ჩვენი რეფორმების ექსპორტს უკრაინა ახორციელებს და იმას, რაც საქართველოში ვერ დააფასეთ, უკრაინელები აფასებენო. „მთავარი რეფორმატორი", მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტმა მრჩეველთა საბჭოს ხელმძღვანელად დანიშნა და ნაციონალებმაც თითქოს თითის ქნევა დაიწყეს — ხომ ხედავთ, როგორ გვაღიარებს ცივილიზებული სამყაროო. უკრაინელ ხალხს გულით ვუსურვებთ წარმატებებს, მაგრამ გვეეჭვება, პეტრო პოროშენკომ იმ ადამიანთა მიმართ წაყენებული ბრალდებების ჩამონათვალი იცოდეს, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების დროს ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასე თამამად „ქართულ დანიშვნებს" არ გააკეთებდა.

ამჟამინდელმა ხელისუფლებამ სააკაშვილის რეჟიმის 62 მაღალჩინოსანზე დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა და მათ უმძიმეს ბრალდებას უყენებს. ესეც არ იყოს, ამ 62 ადამიანში ხელისუფლების უმაღლესი პირებიც არიან და ის რომ ისინი დანაშაულს ჩადიოდნენ, საზოგადოებაში ეჭვს არ იწვევს. რა თქმა უნდა, ჩვენ 62-ვეს არ ჩამოვთვლით, მაგრამ იმ ადამიანებს, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში ქმნიდნენ ამინდს, ახლა კი ბრალდებულები არიან, აუცილებლად შეგახსენებთ. მაშ ასე:

მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს ექსპრეზიდენტი): სანდრო გირგვლიანის, „ტვიმედის", ვალერი გელაშვილისა და სდს-ს ეპიზოდებზე იძებნება ხუთი მუხლით.

დავით კეზერაშვილი (თავდაცვის ყოფილი მინისტრი): ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა პასუხისგებაში, აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის.

ზურაბ ადეიშვილი (იუსტიციის ყოფილი მინისტრი): ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა პასუხისგებაში, აღმკვეთი ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა პატიმართა წამების ორგანიზების ბრალდებით.

გიორგი უგულავა (თბილისის მერი): შეეფარდა პატიმრობა იმედის საქმესა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ბრალდებით.

ივანე მერაბიშვილი (შსს-ს ყოფილი მინისტრი): ცნობილი იქნა დამნაშავედ 2011 წლის 26 მაისს მიტინგის გადამეტებული ძალის გამოყენებით დაშლის, ამომრჩევლის მოსყიდვის, კერძო საკუთრების ხელყოფისა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის ბრალდებით.

ბაჩანა ახალაია (თავდაცვის ყოფილი მინისტრი): გასამართლებულია სერგო თეთრაძის წამების საქმეზე.

ეს არის ექსპრეზიდენტის მინისტრთა კაბინეტის ყოფილი წევრების ჩამონათვალი და გვეეჭვება, რომელიმე ჭკუათმყოფელმა ამ სიის გაცნობის შემდეგ წინა მთავრობას რეფორმატორი დაარქვეს. რაც შეეხება ქვედა რგოლებს, იქ სრული განუკითხაობა იყო. ქვედას ვეძახით, თორემ რეალურად საქმე კონკრეტული დეპარტამენტის უფროსებთან ან მათ მოადგილეებთან გვაქვს.

დავით ჭაკუა (სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უფროსი): ბრალდებულია პატიმართა ცემა-წამებისთვის, რომელსაც ორგანიზებას იუსტიციის იმჟამინდელი მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის დავალებით უწევდა. მაშინ არავინ მალავდა, რომ რეალურად სასჯელაღსრულების სამინისტროს ხათუნა კალმახელიძე კი არა, სწორედ ჭაკუა განაგებდა.

გაგა მკურნალიძე (ჭაკუას მოადგილე), **ალექსანდრე მუხაძე**, იგივე „ქილერა" (გლდანის ციხის დირექტორი), **ვიქტორ ყაჭეიშვილი** (მუხაძის მოადგილე), **ოლეგ ფაცაცია** (გლდანის ციხის რეჟიმის უფროსი): ეს ადამიანები იყვნენ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ჯალათები. ყოფილი პატიმრები პირადად ადებენ ხელს აღნიშნულ კვარტეტს და არ მალავენ, რომ ისინი პატიმრებს ხანდახან მხოლოდ გართობის მიზნით აწამებდნენ. მკურნალიძე ჭაკუას ნდობით აღჭურვილი პირი იყო და ნებისმიერ დაწესებულებაში შესვლა ნებისმიერ დროს შეეძლო, რაც ძირითადად რამდენიმე პატიმრის ცემით სრულდებოდა. ოთხივე მათგანი ბრალდებულია, თუმცა ალექსანდრე მუხაძე იძებნება, დანარჩენები კი სასჯელს იხდიან.

დავით ახალაია (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი): ბრალდებულის სახით მიცემულია პასუხისგებაში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა სანდრო გირგვლიანის საქმეზე.

როლანდ ახალაია (სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორი): ბრალდებულის სახით მიცემულ იქნა პასუხისგებაში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, მოქალაქეებისგან დამატებითი თანხების მოთხოვნის ფაქტებზე. საქმე დღემდე იხილება სასამართლოში.

გიორგი დგებუაძე (თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი): დათა ახალაიას მარჯვენა ხელი. როგორც ამბობენ, „მასტერა" ყველაფერზე იყო წამსვლელი. ფიგურირებს არაერთ გახმაურებულ საქმეში. მას აღკვეთის სახით შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა.

ერეკლე კოდუა (სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი): ბრალდებულის სახით მიცემული იქნა პასუხისგებაში, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა და გამოცხადდა ძებნა ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე, მოქალაქეების საკუთრებაში არსებული ა/მანქანების თაღლითურად დაუფლების ფაქტებზე.

ვაჟა ღელუაშვილი (კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე) და შოთა ხიზანიშვილი (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე) შეგვიძლია ერთ სისტემურ დანაშაულში განვიხილოთ. საქმე ისაა, რომ ღელუაშვილმა შექმნა კომპიუტერული სისტემა, რომელსაც იგი იყენებდა პოლიტიკოსთა ფარული ჩანაწერების გასაკეთებლად და ამავე სისტემით ხდებოდა ფარული თვალთვალი. ხიზანიშვილი კი ამ ჩანაწერების გავრცელების ფაქტზეა ბრალდებული. ორივე საქმეს სასამართლო იხილავს, თუმცა ორივე პირი გირაოს სანაცვლოდაა გათავისუფლებული.

გურგენ დონაძე (შსს-ს პრესსამსახურის უფროსი): ბუტა რობაქიძის საქმეზე, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიცემულ იქნა პასუხისგებაში. საქმეს იხილავს თბილისის სასამართლო...

ჩამონათვალი აშკარად შორს წაგვიყვანს. მითუმეტეს, რომ აქ არიან რეგიონული სამმართველოს პოლიციის უფროსები (მაგალითად თენგიზ გუნავა), მინისტრის მოადგილეები (ნიკა ძიმცეიშვილი), დეპარტამენტების უფროსები, რაიონის გამგებლები, მოადგილეები... საქმე ისაა, რომ ეს იყო კარგად აწყობილი კრიმინალური სინდიკატი, რომლის დაშლასა თუ გაშლას დღემდე ცდილობენ სამართალდამცავები, მაგრამ ამ კრიმინალურ აბლაბუდაში გარკვევა არც ისე მარტივია.

მეორეს მხრივ, საზოგადოების ნაწილის კატეგორიული მოთხოვნა, სამართლიანობის აღდგენა ნელი ტემპით, მაგრამ მაინც მიმდინარეობს, თუმცა იმავე საზოგადოებას გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებული ადამიანების ხილვა აგრესიას მატებს, რადგან თავის დროზე ნაციონალები არავის ინდობდნენ და სწორედ ანალოგიურს სთხოვენ დღევანდელ ხელისუფლებას.

ვერსიანიუსი

შსს-ს წარმომადგენლებს მედიასთან ურთიერთობის ტრენინგი ჩაუტარდათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით, ყველა დეპარტამენტიდან სპეციალურად შერჩეულმა სპიკერებმა მედიასთან ურთიერთობის საკითხებზე გადამზადების კურსი გაიარეს. შსს-ს წარმომადგენლებს მედიასა და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის ტრენინგი საზოგადოებასთან ურთიერთობის ექსპერტმა და ტრენერმა გიორგი კალატოზიშვილმა ჩაუტარა.

შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ინტენსიურად აშუქებს უწყებაში მიმდინარე პროცესებსა და დაგეგმილ ღონისძიებებს. აქედან გამომდინარე, მედიასთან ეფექტური ურთიერთობისთვის, სამინისტროს ყველა ქვედანაყოფიდან შეირჩნენ ის თანამშრომლები, რომლებმაც მედიასთან ურთიერთობის საკითხებზე გადამზადების კურსი გაიარეს. აღნიშნული სახის ტრენინგები გააუმჯობესებს სამინისტროსა და მედიის ურთიერთობას, ხელს შეუწყობს საზოგადოებამდე ინფორმაციის სწრაფად და სწორად მიტანას.

„ვერსიანიუსი"

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა პორტუგალია დაამარცხა

14 თებერვალს, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, საქართველოსა და პორტუგალიის მორაგბეთა ნაკრებებს შორის „რაგბი ევროპის ჩემპიონატის" მატჩი გაიმართა.

ქართველმა მორაგბეებმა ანგარიში 57-ე წამზე გახსნეს, ღელოს ავტორი დავით კაჭარავა იყო. საბოლოოდ შეხვედრა საქართველოს მორაგბეთა ნაკრების გამარჯვებით, ანგარიშით 20:15 დასრულდა.

„ბორჯღალოსნებმა" „რაგბი ევროპის ჩემპიონატის" პირველ მატჩში გერმანიას სტუმრად ანგარიშით 64:8 აჯობეს.

მორიგ შეხვედრას ქართველი მორაგბეები სტუმრად ესპანეთთან 28 თებერვალს გამართავენ.

„ინტერპრეესნიუსი"

„ბადრის ბიძინა მტრად არ მიაჩნდა, მაგრამ არ უყვარდა...“

საიდუმლო შტაბი ავლაბარში და ივანიშვილ-პატარკაციშვილის ურთიერთობის უცნობი დეტალები — ვალერი გელბახიანი ერეკლე კოდუასთან ნათესაობას უარყოფს

ვანო პავლიაშვილი

ერთმანეთს 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ შევხვდით — მაშინ ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო. მეორე დღეს საქართველოდან წავიდა. ველოდი, რომ იმდროინდელი პროკურატურა დაკითხვაზე დამიბარებდა, რადგან პრაქტიკულად, ბოლო ჟურნალისტი ვიყავი, ვისაც ინტერვიუ მისცა... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... სიმბოლურია: ბადრი (არკადი) პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ზუსტად 7 წლის შემდეგ, 13 თებერვალს ისე შევხვდი... რაზე ვილაპარაკეთ?

— თითქმის ყველაფერზე, მათ შორის, საიდუმლო შტაბზეც... მოკლედ, „ვერსია“ წარმოგიდგენთ ვალერი გელბახიანის სკანდალურად არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს...

— ბატონო ვალერი, მართალია, ოლიგარქზე ჩემი და თქვენი შეხედულებები განსხვავებულია, მაგრამ მაინც გკითხავთ: პატარკაციშვილმა საქართველოს უახლეს ისტორიაში რა როლი შეასრულა?

— დიდი მადლობა, რომ შეხვედრა სწორედ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების დღეს მოაწყვეთ... მოკლე პასუხით იმ სრულ სურათს ვერ დავხატავ, რაც ბადრის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჰქონდა, თუმცა ვიტყვი, რომ ის ქართული საზოგადოებისთვის ერთ-ერთი პოზიტიური მოვლენა იყო. ბადრი მხოლოდ ბიზნესმენი კი არ იყო, რომელმაც ფული იშოვა, არამედ, მოწოდებული გახლდათ, საზოგადოებას ჭირსა და ლხინში გვერდით დადგომოდა... როცა ტელევიზია შექმნა, კარგად მახსოვს, ერთადერთი იდეა ჰქონდა — „იმედი“ ხალხის სამსახურში ჩამდგარიყო, თავისუფლებისა და დემოკრატიის ტრიბუნა ყოფილიყო. მაშინ საზოგადოებრივი აზრი სწორედ „იმედმა“ განსაზღვრა და, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტარული ხელისუფლება ყალიბდებოდა, საზოგადოება თამამი გახადა. პატარკაციშვილი ერთადერთი ტრიბუნა იყო, რომელმაც საზოგადოების მობილიზება შეძლო.

— ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ პატარკაციშვილს მაფიოზურ-კრიმინალური მითებიც უკავშირდება...

— სხვათა შორის, მისი გარდაცვალების შემდეგ, რაღაც მასალას თავი მოვუყარე და მინდოდა, წიგნად გამომეცა, მაგრამ ვეღარ მოვახერხე.

— ამ წიგნში პატარკაციშვილის ცუდი მხარეებიც უნდა გეჩვენებინათ?

— დიახ, მინდოდა, მისი მოღვაწეობის ცუდი კუთხეც ყოფილიყო ანუ კრიმინალური რუსეთი როგორ იმართებოდა, ამ პროცესში ბადრი პატარკაციშვილს რა როლი ჰქონდა და როგორი აუცილებელი იყო, რაღაც საკითხების გადაწყვეტას ორგანიზებული სახე მისცემოდა. მაშინ რუსულ ხელისუფლებაში ისეთი ქაოსი იყო, ყველაფერი დაჯგუფებებით წყდებოდა — პოლიტიკურ ბანაკში, ბიზნესსამყაროსა და ბიზნესსამყაროს ქვემოთაც რამდენიმე დაჯგუფება არსებობდა და თუ ძალა არ გქონდა, გადაწყვეტილება სისრულეში მოგეყვანა, დამარცხდებოდი. ამიტომ, რუსმა ოლიგარქებმა დაინახეს, რომ ერთადერთი გამოსავალი ორგანიზებული ჯგუფების ყოლა იყო.

— ესე იგი, ადასტურებთ, რომ პატარკაციშვილს კრიმინალსა და მაფიასთან შეხება ჰქონდა?

— რა თქმა უნდა... დღეს ყველას უნდა, წარმოაჩინოს, რომ რუსეთში ფული ისე იშოვა, როგორც ანგელოზმა, მაგრამ ასე არაა.

— კრიმინალს თავი რომ დავანებოთ, ისიც მსმენია, რუსეთში დიდი ფულის შოვნა სპეცსამსახურების მფარველობის გარეშე შეუძლებელიაო...

— პატარკაციშვილს კავშირი მხოლოდ ერთ კი არა, ბუნებრივია, ყველა ძალოვან უწყებასთან ჰქონდა...

— „ფსბ“-სა და „გრუ“-სთანაც?

— ყველასთან... გავლენა ამის მეშვეობით ჰქონდა და კავშირზე ისეთი დაჯგუფებები ჰყავდა, მაგალითად, ყოფილი ავღანელები, რომლებიც აღსრულებაში სპეციალურ ფუნქციას ასრულებდნენ.

— ერთ-ერთი ასეთი საშა მაისურაძე იყო, არა?

— სახელებსა და გვარებს ვერ ვიტყვი... ეს უფრო რუსული საყრდენი იყო. ქართველები ბადრის დაცვის უზრუნველყოფას ეწეოდნენ. სხვათა შორის, ჩეჩნეთის რეგულაციის პროცესშიც ბადრის უზარმაზარი წვლილი მიუძღვის — როცა რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩნეთში მესამე ომი დაიწყო, მხოლოდ ძალაზე იყურებოდა და რეგულაციის შანსი ნაკლები არსებობდა. ამიტომ, საჭირო იყო შუალედური რგოლი, ვინც ჩეჩნებთან დაილაპარაკებდა. ბადრის მეშვეობით ჩეჩნებთან რამდენიმე მოლაპარაკება გაიმართა და სახელმწიფოებრივად სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

— ამ დროს ბადრის პუტინთან ჯერ ისევ კარგი ურთიერთობა ჰქონდა?

— პუტინი ბადრისთან ახლოს პრემიერობის დროს იყო, პრეზიდენტობისას — აღარ. მაშინ, როცა პუტინი პრემიერი იყო, ბადრი, რეგულაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ამიტომ ბიზნესსა და პოლიტიკაში მისდამი ნდობა ჩამოყალიბდა და შანსი გაუჩნდა, ფული ეშოვა. ბადრიმ შეძლო, რომ ხელისუფლებასა და მისდამი ანტაგონისტურად, სეპარატისტულად განწყობილ დაჯგუფებებს შორის მორიგება მომხდარიყო. ზოგჯერ ეს ფინანსების მეშვეობით ხდებოდა. მაგალითად, ჩეჩნეთში, რამდენიმე ეპიზოდი ვიცი, რუსეთის ხელისუფლებას, მოლაპარაკებისთვის რომ მიეღწია, საკმაოდ დიდი ფულის გადახდა მოუწია.

— ამ ფულს ხელისუფლება იხდიდა თუ პატარკაციშვილი?

— ეს ხელისუფლების ფული იყო, თუმცა ფულს ბადრის ხელში არავინ აძლევდა. ბადრი შუამავალ რგოლებს ნახულობდა, რომლებიც ხელისუფლებაზე გაჰყავდა...

— ბატონო ვალერი, არსებობს მოსაზრება, რომ პატარკაციშვილი ბიზნესმენი კი არა, უბრალოდ, ბერეზოვსკის „კასირი“ იყო...

— თუ ძალიან გაინტერესებთ, ბერეზოვსკიზეც გეტყვით — ასე არ ყოფილა.

— აბა, როგორ იყო?

— მათ საუბარს რამდენჯერმე შევასწარი და „ვერხი“ ბადრის უფრო ეჭირა, ვიდრე — ბერეზოვსკის. პროცესი ბადრის მიჰყავდა, თუმცა ბერეზოვკის, პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო დიდი ბეგრაუნდი ჰქონდა — პროფესორი იყო, რუსულ წრეებში ტრიალებდა... ბადრის რუსულ ხელისუფლებასთან კავშირი ბერეზოვსკის მეშვეობით მოხერხდა, თავად ბერეზოვსკი კი ფულის პატრონი ბადრის მეშვეობით გახდა.

— ერთმანეთი როგორ გაიცნეს?

— საბჭოთა კავშირის ბოლოს, ბადრი საქართველოში „ჟიგულის“ ბაზის დირექტორის მოადგილე იყო და ტოლიატიდან აქაური „ვაზის“ სისტემის მარაგნაწილებით უზრუნველყოფას ახდენდა. ერთხელ, როცა კუიბიშევიდან ტოლიატში მიდიოდა, წვიამიანი ამინდი ყოფილა და ტრასაზე ვიღაც, როგორც ბადრი ამბობდა, იძუძგებოდა. ბადრის მანქანა გაუჩერებია...

— ეს გალუმპულ-გაძუძგული კაცი ბერეზოვსკი იყო?

— დიახ. მაშინ ბერეზოვსკი მეცნიერი გახლდათ — გამოთვლითი მანქანების პროფილით დისერტაცია ჰქონდა დაცული და ტოლიატში იმიტომ მიდიოდა, თავისი მეცნიერული ნაშრომი დაენერგა. ტოლიატის ქარხნის ხელმძღვანელობასთან ბადრის პირადმა ურთიერთობამ ქარხანაში ფუნქცია ბერეზოვსკისაც მოუძებნა. ამის შემდეგ, როცა საბჭოთა კავშირის დაშლა დაიწყო, ბადრიმ მოახერხა და ქარხნის კომერციული ნაწილი თავისი მართვის ქვეშ გადაიყვანა. ამ პროცესის მონაწილე ბერეზოვსკიც გახდა და ბადრის მოსკოვისკენ კარი გაუხსნა.

— ანუ, ხელმა ხელი დაბანა...

— დიახ, ისინი ასე დაძმობილდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტოლიატის ქარხანა მთლიანად მათ ხელში აღმოჩნდა და პირველი დიდი ფულიც სწორედ მაშინ იშოვეს — დაახლოებით, 3 ათასი მანქანა საზღვარგარეთ გაყიდეს და ეს თანხა მხოლოდ ორმა გაიყო.

— ამ დროს ბადრისა და ბერეზოვსკის რუსული სპეცსამსახურები უკვე აკონტროლებენ?

— არა, სპეცსამსახურები შემდგომი პერიოდია — როცა ტოლიატის ქარხანა მოგებას აღარ იძლეოდა, მათ იქ ჯდომა აღარ უღირდათ და სანავთობო, ასევე, მეტალურგიული ქარხნის შესყიდვები დაიწყეს, რაც ცენტრალური ხელისუფლების გარეშე შეუძლებელი იყო. ბერეზოვსკიმ მოახერხა და კრემლის წრეებზე გავიდა.

— წარმატებაში გარკვეული როლი, ალბათ, ებრაელობამაც შეასრულა...

— დიახ, ძირითად როლს სწორედ ებრაელობა თამაშობდა — მაშინ ელცინის კარზე მთლიანად ებრაელები იყვნენ... ბერეზოვსკიმ სერიოზული თანამდებობა მიიღო — „სნგ“-ს ქვეყნების სახელმწიფო მდივანი გახდა, კრემლში იჯდა და ელცინის ეკონომიკურ პოლიტიკასაც წარმართავდა. ჩუბაისი და სხვა ოლიგარქები დაიძმაკაცეს...

— იმხანად, რუსულ ბიზნესში ბიძინა ივანიშვილი არ ჩანდა?

— რუსეთში მოღვაწეობა ისე დაამთავრა, რომ ერთმანეთს არც კი იცნობდნენ.

— ესე იგი, მითია, რომ ამბობენ, ბიძინა და ბადრი ერთმანეთს დასანახად ვერ იტანდნენ და ერთხელ, გასვენებაში, ბადრიმ ბიძინას შეაგინაო?

— არა, არა... რომ გითხრათ, ბადრის ბიძინა უყვარდა-მეთქი, ტყუილი იქნება. ბადრის თავისი წარმოდგენები, შეხედულებები ჰქონდა და მისგან საქებარს ვერასოდეს გაიგებდით. მიაჩნდა, რომ ბიძინას ის დონე არ ჰქონდა, რაც მსხვილ ბიზნესმენს უნდა ჰქონდეს. ბადრი ამბობდა, მთავარი ჯერ ადამიანობაა და მერე, ფულიო. ფასეულობების თვალსაზრისით, არ თვლიდა, რომ მისი ტოლფასი ადამიანი იყო — ეს სიმართლეა! მტრად არ მიაჩნდა, მაგრამ ბოლო დროს ეჭვობდა, რომ ბიძინა მის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო.

— ბიძინამ ბადრის მიშა „დააწერა“?

— გამოვიდა, რომ ბიძინამ ბადრის ადგილი დაიკავა — ბადრი მიშასთან ძალიან ახლოს იყო და აფინანსებდა კიდეც.

— რამდენს აძლევდა?

— მხოლოდ მაშინ, როცა „ვარდების რევოლუციის“ აქციები იწყებოდა, ვიცი, 300 ათასი მისცა.

— ჟვანიასაც ხომ აფინანსებდა?

— ჟვანიას, „ახლებს“ სერიოზულ ფულს აძლევდა.

სხვათა შორის, რევოლუციის დროს, მიშას კულუარებიდან ეხმარებოდა — ბადრიმ შტაბი შექმნა, სპეციალისტები ჩამოიყვანა...

— რუსები?

— არა, ბალტიისპირელები...

— ეს ბალტიისპირელები „პიარშჩიკები“ იყვნენ?

— არა, დემონსტრაციებისა და აქციების სპეციალისტები, რომელთაც კავშირი მიშას შტაბთან ჰქონდათ. ამ შტაბში რამდენჯერმე მივედი და ბადრის ვკითხე, აქ რას ზიხარ, „არკადიაში“ რატომ არ ხარ-მეთქი და მიპასუხა, აქედან პროცესებს უკეთ ვაკონტროლებთო.

— საიდუმლო შტაბი სად მდებარეობდა?

— ავლაბარში, ქალაქის პროკურატურის ყოფილ შენობაში...

— ამ შტაბზე მედიასთან დღემდე არ გილაპარაკიათ?

— არა... შტაბში ნახაზებსაც ნახავდით — ქუჩები როგორ უნდა გადაკეტილიყო, ხალხის ნაკადი საიდან დაძრულიყო და თავი სად მოეყარა. მოკლედ, აქ ინსტრუქციები, ასე ვთქვათ, იჭედებოდა და მერე, მიშას შტაბში მიდიოდა...

— თუკი გავყვებით ვერსიას, რომ პატარკაციშვილი მოკლეს, მკვლელობის მოტივი შეიძლება, სწორედ ის გამხდარიყო, რომ მიშაზე ბევრი რამ იცოდა?

— ადამიანებს ამის გამო არ ხოცავენ...

— ბატონო ვალერი, ბადრი რუს ოლიგარქად ითვლებოდა და თუკი სააკაშვილი მისი ინსტრუქტაჟით მოქმედებდა, მაშასადამე, „ვარდების რევოლუცია“ რუსული პროექტი გამოდის...

— რუსული რატომ იყო? სხვათა შორის, ეჭვი ბადრისაც ჰქონდა, ავანსცენაზე რუსული მოთამაშეები არ გამოჩენილიყვნენ. ცალსახად ვამბობ, რომ აქ რუსული წილი არ ყოფილა — მაშინ ბადრის რუსეთთან ურთიერთობა ისე ჰქონდა გართულებული, რუსული სპეცსამსახურებისგან თავისდასაღწევად ანტირუსულ ხელისუფლებას ეძებდა.

— ...ბადრი როგორ გაიცანით?

— მაშინ აღორძინებაში ვიყავი. ბადრი აჭარაში, ასლანთან ჩამოვიდა, კარგად მახსოვს — თეთრი კოსტუმი ეცვა, თვალშისაცემად გამოიყურებოდა. ვიკითხე, ვინაა-მეთქი. მითხრეს, ბადრი პატარკაციშვილიაო. ეს სახელი და გვარი გაგონილი მქონდა... ვისაუბრეთ, მერე, ასლანის გარეშე, ყავა დავლიეთ. მითხრა, გიცნობ, შენზე დადებითი შთაბეჭდილება მაქვს და ვიმეგობროთო. რატომაც არა-მეთქი.

— ეს რომელი წელია?

— 1998. მერე, თვითონ მირეკავდა ხოლმე...

— მისთვის ერთ-ერთი ყველაზე სანდო ადამიანი როგორ გახდით — ერთად რამე ისეთს ხომ არ აკეთებდით?

— არა... ამის ერთ-ერთი ფაქტორი მასთან გიორგი თარგამაძის წასვლა იყო.

— გიორგი თარგამაძე ბადრის თქვენ მიუყვანეთ?

— არა. გიორგიც მაშინ გაიცნო, როცა — მე. როცა გიორგისა და ასლანს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ბადრი ტელევიზიას აყალიბებდა და გიორგი თვითონ მიიწვია, ნუ გეშინია, პრობლემები არ გექნება და ერთად ვიყოთო. გიორგისთან ვმეგობრობდი. ბადრი ამას ხედავდა...

2003 წლის არჩევნები რომ მოახლოვდა და „აღორძინებიდან“ წამოვედი, მიწვევა ყველა პარტიიდან მქონდა — გამსვლელ სიაში ჩამსვამდა...

— გამსვლელ სიას ნაციონალებიც გთავაზობდნენ?

— დიახ, მაგრამ ყველა პარტიაზე უარი ვთქვი, რადგან „პერებევშიკები“ არ მიყვარს — ჩემს მორალში არ იყო, რომ აღორძინებიდან წამოსული სხვა პარტიაში შევსულიყავი. ბადრიმ დამიძახა და მითხრა, თუ გინდა, ახლების სიაში ჩაგსვამ ან ჟვანიას ვეტყვიო, მაგრამ უარი ვუთხარი, ერთადერთი, კენჭს დამოუკიდებლად და საკუთარ რაიონში ვიყრი-მეთქი... სწორედ ამ დროს მუხრან მაჭავარიანის საკითხი დადგა.

— რას გულისხმობთ?

— აღორძინებამ მუხრანი, რომელთანაც მართლა ვმეგობრობდი, მაჟორიტარად ყვარელში დააყენა. საჩხერეში ჩავედი თუ არა, მუხრანი ვნახე, მოვიკითხე და ვკითხე, კენჭს ყვარელში იყრი-მეთქი? რა ვიცი, შემომთავაზესო. მივუგე, თუ ყვარელში კენჭი იმიტომ უნდა იყარო, რომ ილიას სამშობლოა, საჩხერე მხოლოდ აკაკის კი არა, შენი სამშობლოცაა და კენჭი აქ უნდა იყარო-მეთქი. იუარა, არა, აქ შენ უნდა მიიღო არჩევნებში მონაწილეობაო. შევთავაზე, თუ პირობას მომცემ, რომ კენჭს საჩხერის მაჟორიტარად იყრი, არათუ, გვერდში



დაგიდგები, კანდიდატებს ჩაგიხსნი — ყველასთან მივალ და ვეტყვი, მუხრანი ჩვენი მორალია და მასთან კონკურენცია არ შეიძლება-მეთქი. პრინციპში, ასეც იქნებოდა, მაგრამ მუხრანმა კატეგორიული უარი თქვა. სხვათა შორის, ყვარელში კანდიდატად ბადრის და, ნანა იყო დარეგისტრირებული... მოკლედ, მუხრანთან საუბრის დროს ბადრიმ დამირეკა და მთხოვა, მუხრანი დამალაპარაკეო. მუხრანს რომ ვუთხარი, ბადრის უნდა შენთან დალაპარაკება-მეთქი, ეგონა, ბიწაძე რეკავდა, მაგრამ რომ გაიგო, პატარკაციშვილი იყო, დაელაპარაკა და ბადრიმ მადლობა გადაუხადა. მუხრანი ვერ მიხვდა, მადლობა რატომ გადაუხადა. მერე ბადრიმ მითხრა, ჩავთვალე, მუხრანმა არ მაკადრა, ჩემს წინააღმდეგ წასულიყოო...

მოკლედ, ამასობაში, ჩემი თემა წამოვიდა ანუ ბადრიმ მითხრა, თუ მუხრანი კენჭს არც საჩხერეში იყრის, მაშინ შენ წადიო. მივუგე, იქ ბიძინაა და მის „პროტივ“ არ წავალ-მეთქი.

— 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში, საჩხერის მაჟორიტარად ივანიშვილი ვინმეს ამზადებდა?

— არ ვიცი...

— ბიძინას იცნობდით?

— საკითხი ცნობა-არცნობაზე არ იდგა. მართალია, მაშინ ოფიციალური პოლიტიკური მოთამაშე არ გახლდათ, მაგრამ ბიძინა მსხვილი იყო. ბადრის ვუთხარი, მასთან „დოსტუპი“ არ მაქვს-მეთქი. ბადრიმ, მოიცაო და მდივანს დაურეკა, ბიძინასთან შემაერთეო.

— წეღან მითხარით, ბადრი და ბიძინა ერთმანეთს არ იცნობდნენო, დაგავიწყდათ?

— მოსკოვში ბიზნესშეხება არ ჰქონდათ... ერთმანეთი მოიკითხეს. ბადრიმ უთხრა, „კარორჩე“, თუ საჩხერეში ვინმე გინდა, არიან ადამიანები, ვისაც პოლიტიკური ინტერესი აქვთ და უარს იტყვიანო. ბიძინამ უპასუხა, ხომ გითხარი, პოლიტიკისგან შორს ვარო. სხვათა შორის, მერე, ეს ლაპარაკი ბიძინამ დაადასტურა... ბადრიმ საუბარი გააგრძელა, ამა და ამ კაცს თუ იცნობ, ჩემთან ზის და, თუ რამე პრეტენზია გაქვს, ეს კაცი, ძმაო, ამბობს, ბიძინას გარეშე კენჭს არ ვიყრიო.

— ბიძინამ რა უპასუხა?

— რაზეა ლაპარაკი, მაგ ამბავში არ ვერევი და, თუ ვინმე ეტყვის, ბიძინას არ უნდიხარო, ერთ ადგილას პანჩური ამოარტყასო. აი, ბადრისა და ბიძინას ამ ლაპარაკს შევესწარი... მართალია, ბადრის დეტალები არ უთქვამს, უკმაყოფილო რატომ იყო, მაგრამ მერე ბიძინამ დაწერა, რომ მიშას წინააღმდეგ ბრძოლა შესთავაზა, ძალები გავაერთიანოთ და მიშა დავამარცხოთო, რაზეც უარი უთხრა... მოკლედ, ასე გადავწყვიტე საჩხერეში კენჭისყრა და არჩევნები მოვიგე კიდეც... რა თქმა უნდა, ბადრიმ დამაფინანსა.

— მეტყვით, რამდენი მოგცათ?

— როგორ არ ვიტყვი — 30 ათასი დოლარი „ქეში“ მომცა.

— ეს ხომ შავი ფულია?

— ჩემთვის ეს შავი ფული კი არა, დახმარება იყო და ყველაფერი ოფიციალურად, ხარჯებში გავწერე, ამომრჩევლისთვის კი არ მიმიცია?! არჩევნებს ყოველდღიური ხარჯი აქვს და ვინმემ არ თქვას, საარჩევნო პროცესში 30 ათასი დოლარი ფულიაო. სხვათა შორის, ბადრიმ მითხრა, თუ არ გეყოფა და კიდევ დაგჭირდება, ერთი ზარი და ფულის პრობლემა არ გექნებაო, მაგრამ აღარ ვთხოვე.

— ვიდრე ცოცხალი იყო, ფინანსურად მუდამ გეხმარებოდათ?

— დიახ.

— თქვენ სთხოვდით?

— არა, თვითონ მაძლევდა... ერთხანობა, რომ შევხედე, მიშა რა გზით მიდიოდა — სიტყვიერი კონფლიქტი მომივიდა, რაც სიკვდილ-სიცოცხლის წინაშე დამაყენებდა და უკრაინაში წასვლა გადავწყვიტე. ბადრიმ რაღაც თანხა მომცა და მითხრა, თუ დაგჭირდება, ინვესტიციას მოგახმარ, თუმცა ისევ მას დავჭირდი.

— რას გულისხმობთ?

— 2002 წელს უნგრეთში, ბუდაპეშტში, „ფბრ“-ის სკოლაში 20-დღიანი კურსი გავიარე, სერტიფიკატიც ავიღე და რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენელი გავიცანი, მათ შორის, ბელორუსელი დეპუტატი... ერთხელ, ბადრიმ დამირეკა, თუ ბელორუსში ვინმეს იცნობ, შეგიძლია, დაეკონტაქტოო. კი-მეთქი. აბა, მოსინჯე, ლუკაშენკოსთან ჩვენი შეხვედრა თუ შედგებაო... მინსკში გადავფრინდი, ამ კაცს დაველაპარაკე, ასე და ასეა საქმე-მეთქი. მან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიმიყვანა... მოკლედ, ეს შეხვედრა შედგა... ბადრისთან ლონდონში, სახლშიც დავდიოდი და ჩვენს შორის ნდობა ჩამოყალიბდა...

— მაშინაც, როცა პოლიტიკურად გააქტიურდა, ყველაზე მეტად, მგონი, თქვენ გენდობოდათ... ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანდა...

— დამიძახა და მითხრა, ამ საქმეს სხვას ვერ ვანდობო. ვკითხე, იმდენი ძმაკაცი გყავს და რაღა მაინცდამაინც მე-მეთქი. პოლიტიკა არავის ესმისო.

— პირდაპირ გკითხავთ: ერეკლე კოდუა ბადრისთან თქვენ მიიყვანეთ?

— არა!

— ამბობენ, კოდუას ნათესავი ხართ — შორეული ბიძა...

— (იღიმება) ეს პირველად მესმის! კოდუას სახეზეც არ ვიცნობდი, მისი მხოლოდ თანამდებობა ვიცოდი...

— სოდ-ში, როცა კოდუა შეფი იყო, არასოდეს მისულხართ?

— არა. როცა მინისტრი იყო, ვანო მერაბიშვილს, კაბინეტში, ორჯერ შევხვდი.

— რა მიზნით?

— ერთხელ, საჩხერის პოლიციის საკადრო საკითხზე მქონდა კამათი. მეორე შეხვედრა პირადული იყო — რაღაც ჯგუფს ბიზნესში პოლიციასთან პრობლემა ჰქონდა და მაშინ დამინყო, ბიზნესში არ ვერევიო. ეს 2004 წელს მოხდა. ადეიშვილთან უფრო მეტი კონტაქტი მქონდა — პროკურორი იყო, მე — პარლამენტარი, დაჭერებზე ამომრჩევლები მაწუხებდნენ, მე კი, ადეიშვილს ვაწუხებდი.

რაც შეეხება კოდუას, ბადრი მეუბნებოდა ხოლმე, შსს-ში ჩემი ხალხი მყავს და ფულს ვუხდიო, მაგრამ არ ვეკითხებოდი, ვინ არიან-მეთქი... მერე მითხრა, კოდუას უნდა ენდოო.

— ესე იგი, ეჭვობთ, ფულს კოდუას უხდიდა?

— კი არ ვეჭვობ, დარწმუნებული ვარ! ბადრი ვიღაც არ იყო და კოდუას სხვანაირად არ ენდობოდა.

— კი ბატონო, მაგრამ როგორც მოვლენათა განვითარებამ ნათელყო, შეცდომა დაუშვა...

— შეცდომისგან ვინაა დაზღვეული?! უცნობთან რატომ გარისკავდა?.. სხვათა შორის, ჩანაწერშიც ვამბობ, მე ჩამოგშორდებითმეთქი ანუ ვხედავდი, რომ ინტრიგა იყო...

— ის ყბადაღებული ჩანაწერი თქვენ გააკეთეთ?

— არა. მართალი გითხრათ, „ვჩალიჩობდი“ — კოდუას ჩაწერა მინდოდა. სიგარეტის კოლოფში ჩამწერი მედო, მაგრამ დაცვამ სიგარეტი დამატოვებინა და ვერ ჩავწერე.

— ლონდონის შეხვედრას ბადრიც იწერდა?

— ბადრი იწერდა!

— ანუ, ის, რომ კოდუას ჩამწერი თითქოს ფეხსაცმელში ჰქონდა, სიმართლე არაა?

— ფეხსაცმელი ოთახში იწერდა და აივანზე — არა?! რას ამბობთ...

— თუ ეს შეხვედრა ბადრიმ ჩაიწერა, ნაცონალთა ძალოვნებმა ხელში როგორღა ჩაიგდეს?

— იმ ღამეს ამ ჩანაწერის ინგლისურენოვანი ვარიანტი გაკეთდა და შეხება რამდენიმე ადამიანს ჰქონდა.

— მაინც, ვის და რამდენს?

— ბადრის, ბერეზოვსკისა და ბადრის თანაშემწე მოტკინს.

— ჩანაწერი ნაციონალებს მოტკინმა მისცა?

— არა, მოტკინს გამოვრიცხავ! ეჭვი ბერეზოვსკიზე მაქვს!

— ბერეზოვსკიმ ბადრის რატომ უღალატა?

— ბერეზოვსკი პოლიტიკური მოთამაშე და პოლიტიკით მოწამლული იყო — დღედაღამ იმაზე ფიქრობდა, პუტინის საწინააღმდეგოდ რა გაეკეთებინა. მასთან მიკამათია და მითქვამს, ბადრის პრეზიდენტობის კანდიდატად დაყენება წაგებული თამაშია, ნაციონალები ყველაფერზე წავლენ და ხელისუფლებას არ დაგვითმობენ-მეთქი. ჩემი გეგმა ასეთი იყო — სააკაშვილის წინააღმდეგ „გრეჩიხას“ მეშვეობით გვებრძოლა ანუ ჩვენ „გრეჩიხას“ მივხმარებოდით და მათ ეჭიდავათ. ამ ჭიდაობას, ეჭვი არ მეპარებოდა, მიშა მოიგებდა, მაგრამ დასუსტდებოდა და საპარლამენტო არჩევნებში მოვუგებდით. ამ გეგმაზე აგვისტოშივე ვიყავით შეთანხმებულნი...

— 2007 წლის აგვისტოში?

— დიახ.

— მაშასადამე, 7 ნოემბერიც თქვენ დაგეგმეთ ანუ სისხლი გინდოდათ?

— ოპოზიციის მონახაზში სისხლი არ იყო! აგვისტოში ახალი პარტიის დაპრეზენტება გვინდოდა, სექტემბრიდან კი, მთელ საქართველოში მოძრაობას დავიწყებდით...

— ყველაფერი ოქრუაშვილმა არია?

— დიახ...

— ნაცებმა შემოგიგდეს?

— არა. ოქრუაშვილი ბადრის პროექტი იყო ანუ ბადრი პოლიტიკაში რამდენიმე მეთოდით თამაშობდა.

— ეს იცოდით?

— არა, თუმცა ვიცოდი, რომ ბადრი ოქრუაშვილთან კონტაქტობდა... შეთანხმებულები ვიყავით, რომ ნიკორწმინდაში ახალი პარტიის პრეზენტაცია უნდა გამართულიყო. 28-ში, დილით, ბადრი ურეკიდან უნდა ჩამოფრენილიყო, მაგრამ დამირეკა, ვერ მოვფრინავ, სტუმრები მომივიდნენო.

— მოგატყუათ?

— ეს ტყუილი იყო...

— რა მიზნით მოგატყუათ?

— როგორც ჩანს, იმ ღამეს ოქრუაშვილი გამოიძახა და, ალბათ, უთხრა, თუ ჩვენ დავიწყებთ, შენ თამაშიდან გასული ხარ და თუ რამის თავი გაქვს, დაიწყეო. ალბათ, იმან დასტური მისცა — 7-8 სექტემბერს ოქრუაშვილმა ის განცხადება გააკეთა, რაც ბადრიმ მაშინ მითხრა, როცა ნიკორწმინდიდან ურეკში გავუარე, ვაცადოთ და ჩვენ მერე ჩავერთოთო...

— ბატონო ვალერი, გამახსენეთ, ამ პარტიას რა უნდა რქმეოდა?

— ქრისტიან-დემოკრატები ანუ რაც მერე გიორგიმ უჩვენოდ გააკეთა.

— თარგამაძემაც გიღალატათ?

— არა, არა... უბრალოდ, ის გააკეთა, რაზეც შეთანხმებულები ვიყავით — ის ამ პროცესში თავიდანვე იყო ჩართული — ასეთი შეთანხმება არსებობდა: ბადრი პარტიის ლიდერი იქნებოდა, თარგამაძე — თავმჯდომარე, მოადგილე — გუბაზ სანიკიძე, მე კი — გენსეკი.

— რასაც ახლა მიყვებით, პრინციპში, შეთქმულებაა!

— რატომ? ახალი პარტია გამოდიოდა ასპარეზზე... მაშინ ვინ გათვლიდა, რომ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნებოდა? ჩვენ საპარლამენტო არჩევნებისთვის ვემზადებოდით, მაგრამ ყველაფერი ოქრუაშვილმა არია...

— მეჩვენება, რომ პატარკაციშვილი ორმხრივ თამაშს თამაშობდა...

— სამმხრივსაც...

— ანუ?

— პარალელურად, მოლაპარაკებას ნინო ბურჯანაძესთან აწარმოებდა, რომელიც მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე და ნაცების ერთ-ერთი საყრდენი იყო.

— ბურჯანაძეს რას სთავაზობდა?

— საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად გამოსულიყო. ისე, „გრეჩიხასთანაც“ მოთავე ბადრი იყო...

— ბატონო ვალერი, სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ საუბრის დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნეთ, ბადრისთვის მთავარი ადამიანობა იყოო. კეთილი, მაგრამ საშა მაისურაძეზე უნდა გკითხოთ...

— საშას ენდობოდა...

— მაისურაძემ ბიზნესმენი ჯონი გიგანი ააფეთქა — ბედად, მანქანაში ბავშვები არ იხსნდნენ. ამის მერე, ის პატარკაციშვილმა თავისთან წაიყვანა. ეს შტრიხი პატარკაციშვილის ჰუმანისტობაზე მეტყველებს?

— ბადრი ასეთი ფსიქოტიპი იყო, რომ დაჩაგრულის მხარეს იდგა.

— უკაცრავად, ადამიანი, რომელიც ტერაქტს აწყობს, დაჩაგრულია?

— ის, ალბათ, ასე თვლიდა, რომ საშა დაჩაგრეს და პატრონობა სჭირდებოდა...

— მაისურაძე ამ აფეთქებამდეც, როგორც ვიცი, ბადრისთან იყო. ასევე, ცნობილია, რომ მაისურაძის გათავისუფლებაში, 7 ნოემბრის მერე, გარდაცვლილმა ოლიგარქმა 70 თუ 80 ათასი გადაიხადა...

— მისთვის საშა მაისურაძე კადრი იყო... ასეთი რაღაცები ბადრის რუსეთში არ უკეთებია — რუსეთში არც ერთი მკვლელობა არ უკავშირდება.

— ლისტევის მკვლელობა?

— გამოუგონეს!

— ვთქვათ, ასეა, მაგრამ საშა მაისურაძეს ჯონი გიგანი რა მოტივით უნდა აეფეთქებინა?

— ვერაფერს გეტყვით...

— ...თქვენსა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის ურთიერთობა რატომ დაიძაბა?

— ბადრიმ თავი საქართველოს შეწირა — ვერავინ მეტყვის, რომ რამე არაქართული ელემენტი ჰქონდა. ოჯახმა კი, ბადრის ქონების გადარჩენა დაიწყო და არა — ბადრის ღირსებისა და ინტერესების. ეს, რა თქმა უნდა, მეწყინა.

— თუკი ოჯახი, რომელსაც გარდაცვლილთან ბიოლოგიური ბმა აქვს, ასე თვლის საჭიროდ, თქვენ რატომ განაწყენდით?

— თქვენ გგონიათ, ღირსება მე არ მაქვს?! მე ვის შევეწირე? — ბადრის! მარტო მე ვიყავი? — 41 ათასი რეგისტრირებული აქტივისტი გვყავდა, რომელსაც ოჯახმა გადმორიცხული ფული არ მისცა და ჯიბეში ჩაიდო, მადლობაც არავის უთხრა, 500-მდე ადამიანი ციხეში აღმოჩნდა, რამდენიმე გარდაიცვალა, ათასობით ემიგრაციაში წავიდა. მე ოჯახთან ჩახუტებული ვყოფილიყავი, ამ ხალხს კი ჩემთვის დედა ეგინებინა?

— „იმედის“ დაბრუნება სამართლიანობის აღდგენა იყო?

— თავიდან ბოლომდე თამაშია — ბიძინას უნდოდა, ხალხისთვის ეჩვენებინა, რომ ბადრის ოჯახთან მტრობა არ ჰქონდა. წინა ხელისუფლებასაც აწყობდა, მანამდე დაებრუნებინა, ვიდრე ქულები ბიძინას ჩაეწერებოდა. სამართლიანობა რომ ყოფილიყო, ტელევიზია, ოჯახს კი არა, გოგი ჯაოშვილს უნდა დაბრუნებოდა — გოგის ტელევიზია იყო! ინა რა შუაშია?

— ...ბატონო ვალერი, თქვენი პროგნოზები, როგორც წესი, მართლდება, ამდენი ინფორმაცია საიდან გაქვთ?

— ლოგიკა...

— კი ბატონო, მაგრამ ხომ შეიძლება, ვინმემ სპეცსამსახურებთან კავშირი დაგწამოთ?

— ბიძინა მანვდის ინფორმაციას, ხვალ რა გადაწყვეტილებას მიიღებს? სხვათა შორის, პირველად მე ვთქვი, ივანიშვილი პრემიერად ღარიბაშვილს დანიშნავს-მეთქი. ახლა კი, იძულებული გახდება, ისევ თვითონ მოვიდეს, რადგან პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა და ესეც ლოგიკურია...

— ბოლოს, ბატონო ვალერი, ბადრი პატარკაციშვილი, როგორც მეგობარი და პოლიტიკური თანამოაზრე, გენატრებათ?

— მამის დაკარგვაზე ისე არ მინერვიულია, როგორც — ბადრის დაკარგვაზე, რადგან მხოლოდ ბადრი კი არა, ყველაფერი დავკარგე, თუ რამე გამაჩნდა, მათ შორის, მატერიალური თვალსაზრისით, ხუთი წელი ოჯახს მოვწყდი, ჩამოვედი და ისევ ტალახი მივიღე. დღემდე ისე ვარ, როგორც კეთროვანი — ოჯახის ყველა წევრი უმუშევარია.

— ბიზნესი არ გაქვთ?

— არა.

— აბა, რა სახსრებით ცხოვრობთ?

— ვადვოკატობ — პროცესებზე დავდივარ და ესაა ჩემი შემოსავლის წყარო. 25 წლის მანქანა მყავს, ხან სად გამიჩერდება, ხან — სად და ამ დღეში მხოლოდ იმის გამო ჩავვარდი, რომ ბადრის თანამებრძოლი ვარ!

შორენა პაპაშვილი
593-17-13-37

პოროშენკოს სააკაშვილის მრჩევლად დანიშვნა დასავლეთმა აიძულა?!

საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და იუსტიციის ექსმინისტრის, ინტერპოლით ძებნილ ზურაბ ადეიშვილის კიევში, ევროპის ბიზნესასოციაციის ფორუმზე გამოჩენა საკადრო დანიშვნით დაგვირგვინდა — სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტთან არსებული რეფორმირების საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლებას ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარედ სურდა, რასაც მიშას საქართველოს მოქალაქეობა და მისი ქართულ პოლიტიკაში დაბრუნების პერსპექტივა ეწირებოდა. მეგობარი ქვეყნის ზემოხსენებული საკადრო დანიშვნა „ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს მიმართ არამეგობრულ დამოკიდებულებად შეაფასა. ზოგმა იხუმრა კიდეც, უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი იანუკოვიჩი რამე თანამდებობაზე ჩვენთან ხომ არ მოგვიწვევიაო. ყოფილი პრემიერის თქმით კი, ეს ფაქტი სახიფათოა. „ადეიშვილმა და სააკაშვილმა აქედან გაასწრეს და შეიძლება, უკრაინიდან ვერ გამოასწრონ, ძველი ხელწერით თუ გააგრძელეს მოღვაწეობა“, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი... როგორ განვითარდება პროცესები? — „ვერსია“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის“ ხელმძღვანელს მამუკა არეშიძეს ესაუბრა.

— ეს კაცი ამ ფუნქციას არაფორმალურად ასრულებდა, ახლა კი, ეტყობა, სამართლებრივი ფორმა მიეცა და უსაფრთხოების გარანტიებიც მიიღო. ამხელა ქვეყნის მრჩევლის თანამდებობა უბრალო მდგომარეობა არაა. საერთოდ, პოროშენკო ძალიანაა დამოკიდებული დასავლური წრეების პოლიტიკასა და მათ ნებასურვილზე. ამ კონკრეტულ წრეებს წარმოადგენს, მაგალითად, სააკაშვილი.

— ანუ პოროშენკო იძულებული გახდა?

— ერთის მხრივ, იძულებულია, მაგრამ საქმე მთლად ისეც არაა, რომ პოროშენკოს სააკაშვილი არაფერში სჭირდებოდეს. სააკაშვილი ერთგვარი „მოტორია“ და თუ რამე მოინდომა, ამის გაკეთებას აუცილებლად შეეცდება. ამჯერად, პოროშენკოს სჭირდება სააკაშვილისნაირი ფიგურა ამერიკულ სამხედრო წრეებთან კომუნიკაციისთვის — დღეს უკრაინის იარაღით მომარაგება მხოლოდ აშშ-ს შეუძლია, სააკაშვილი ამ საქმეში ივარგებს.

— უკრაინისთვის იარაღის მიწოდების საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ ეს ვარიანტი არც გამოირიცხება...

— პოლიტიკოსების სიტყვებს, განსაკუთრებით იმას, რასაც ოფიციალურად ამბობენ, ყოველთვის არ უნდა ვენდოთ. მსოფლიო ისტორიაში არაერთი შემთხვევა ყოფილა, როცა ერთი ითქმება და მეორე სრულდება. აშშ-მ უკრაინას შესაძლოა, მთლიანად არ მიაწოდოს შეიარაღება, მაგრამ მიაწოდოს თემატური შეიარაღება, მაგალითად, ტანკსაწინააღმდეგო. ისეც შეიძლება, რომ აშშ-მ კი არა, კანადამ მიაწოდოს.

— ამიტომ გაემგზავრა მერკელი ვაშინგტონიდან კანადაში?

— არ გამოვრიცხავ... მერკელი ყველანაირად ცდილობს, ეს ომი ევროპასა და მსოფლიოს აარიდოს.

— თუმცა, ობამა ვერ გადაარწმუნა...

— ამიტომ უკრაინაში ომის დაწყებას არ გამოვრიცხავ, დღეს ვითარება 50/50-ზეა, რაც ჩვენთვისაც არაა სასურველი და არა მხოლოდ რუსეთიდან საფრთხის გამო. წარმოვიდგინოთ, რომ იქ დაიწყო სერიოზული მასშტაბური ომი, აქ მაშინვე დაიწყება ყარაბაღის ომი... რა შეაჩერებს ისლამისტურ შემოტევას? მასშტაბური ომის შემთხვევაში, ეს შემაკავებელი ფაქტორები მოისპობა. ერევანიც და ბაქოც უყურებს მოსკოვს, აბა, რას იტყვისო.

— ყარაბაღს რუსეთი აჩერებს?

— საერთაშორისო ძალების დაბალანსება ხდება. ყარაბაღის შემთხვევაში, ერთის მხრივ, ესაა აშშ, რომელსაც წინა პლანზე ჰყავს საფრანგეთი, მეორე მხარეს რუსეთია. ესენი სხვა მასშტაბური პრობლემით არიან დაკავებულნი და ვის ეცლება ყარაბაღისთვის?

— საუბარია უკრაინისათვის ლეტალური იარაღის მიწოდებაზე. მაინც, რა სახის იარაღია?

— არალეტალური იარაღია, მაგალითად, ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი. ლეტალური შეიარაღება კი, მხოლოდ ცეცხლსასროლი კი არა, სხვადასხვა ტიპის იარაღიცაა, მათ შორის, საარტილერიო დანადგარები ან მსუბუქი არტილერია — ნაღმმტყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო იარაღი. ლეტალურს ასევე ეძახიან თავდაცვით იარაღს, რომელიც შემაკავებელ-გამანადგურებელია, მაგალითად, სარაკეტო კომპლექსები, „სმერჩი“, „ურაგანი“.

— ისე, ბატონო მამუკა, „ოცნებას“ საყვედურობენ, უკრაინის დახმარება დააგვიანეო...

— არ დაუგვიანია. საქართველოს ხელისუფლება ძალიან დელიკატურად და სწორად იქცევა და ასე, ნეტავ, სხვა რამეში მოქცეულიყო, მაგალითად, საშინაო პოლიტიკაში. ძალიან კარგად ჩანდა პირველივე დღეებიდან, რომ უკრაინის ხელისუფლებისთვის ბევრად ახლობელი იყო საქართველოს წინა ხელისუფლება, ვიდრე დღევანდელი. უკრაინელი ხალხის დასახმარებლად არაერთი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც არც თქმულა. რომ არა სანდრო კვიტაშვილი, რომელიც იქ მინისტრად დაინიშნა და თქვა, ყველაზე მეტი რაოდენობის სამედიცინო დახმარება უკრაინამ საქართველოდან მიიღოო. ჩვენ ხელისუფლებას რა სჭირს, ვერ გავიგე: რასაც ცუდს აკეთებს, იმაზე ხომ არ ლაპარაკობს და რასაც კარგს აკეთებს, იმაზეც ხმას ვერ იღებს. უბედურება ისაა, ქართველი ბიჭები რომ იხოცებიან უკრაინაში, ფრონტის ორივე მხარეს... საქართველოს უკრაინის მიმართ გარკვეული ვალდებულებაც აქვს და ურთიერთობის გამოცდილებაც.

— აშშ-ს კონგრესმენი მაიკლ ტერნერი, რომელიც ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტიცაა, ინტერპოლს მოუწოდებს, არ დააკმაყოფილოს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის საერთაშორისო ძებნასთან დაკავშირებით...

— ჩემთვის ეს მოსალოდნელი იყო. რატომ გვგონია, რომ აუცილებლად მხარს დაგვიჭერდა მსოფლიოს ყველა პოლიტიკური მოღვაწე და ძებნას სააკაშვილს დაუწყებდა? სააკაშვილი დასავლეთის გარკვეული პოლიტიკური ძალების პროდუქტია. აშშ-ში ასეთებს ნეოკონსერვატორებს ეძახიან. არიან კიდევ სხვებიც, რომლებთანაც გარკვეული ურთიერთობა სააკაშვილს თავისი პიარჯგუფების მეშვეობით აქვს, თუნდაც ბილდტის სკანდალი გავიხსენოთ. აქედან გამომდინარე სულ არ მიკვირს ასეთი ტიპის განცხადებები. ნაცმოძრაობის მხარდამჭერი მედიასაშუალებები ამბობენ, დასავლეთმა ასე შეაფასა სააკაშვილის დევნაო. დასავლეთმა კი არა, ერთმა კაცმა შეაფასა — ტერნერი კონგრესმენია, პლუს, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტია, მაგრამ მის წერილში არ წერია, სააკაშვილის დევნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაო... მთავარია, ეს ადამიანი, ძებნის ფორმატით, უკვე დისკრედიტირებულია, რაც უკრაინელებისთვისაც დისკომფორტს ქმნის.

— ზურაბ ადეიშვილის დანიშვნასაც უნდა ველოდეთ?

— ის ინტერპოლის ძებნილია და არ მგონია, რამე თანამდებობაზე დაინიშნოს, თუმცა საერთაშორისო ბიზნესფორუმზე ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო. ამაზე ჩვენ ნაკლებად უნდა ვინერვიულოთ. რეალობა უნდა ვუთხრათ ქართულ საზოგადოებას — საქართველოს ხვალინდელი დღისა და სტაბილურობისთვის ფრონტის ხაზი დღეს ნამდვილად უკრაინაში გადის, მაგრამ ხალხს არც ის უნდა დავუმალოთ, რომ პოროშენკოს კუთვნილი ტკბილეულის ქარხნის „როშეს“ პროდუქცია რუსეთში თავისუფლად იყიდება. პარადოქსია, არა?

— ბატონო მამუკა, წინა კვირას მსოფლიოს ყურადღება მინსკისკენ იყო მიპყრობილი, სადაც „ნორმანდიულმა ოთხეულმა“ მოლაპარაკებები გამართა. რუსული პრესის თქმით, პუტინმა უკან დაიხია...

— პუტინს სხვა გზა არ აქვს. საქმე ეკონომიკურ სანქციებში კი არა, რესურსის ამოწურვაშია. თავისთავად, რაც ეკონომიკურ სანქციებზე გვესმის, მედლის მხოლოდ ერთი მხარეა, თან ნაკლებად მნიშვნელოვანი. განა, რუსებმა არ იციან მთელ ამ საფრთხეზე? — მთელი თავიანთი ეკონომიკის გადამისამართება აღმოსავლეთისაკენ ანუ ჩინეთისკენ დაიწყეს, რაც 10 წლის შემდეგ ჩინეთის სერიოზულ კაბალაში ჩავარდნას ნიშნავს. ეს რუს მოაზროვნეებს ესმით, მაგრამ ამის გაგება კრემლში არ უნდათ, თუმცა, როგორც იქნა, ეს პუტინის თავშიც შევიდა და ამიტომ, უკან ან მართლა დაიხია, ან, როგორც ყოველთვის, თამაშობს.

— ნაცმოძრაობა თავდაცვის მინისტრს ნატო-ს საწვრთნელი ბაზის მშენებლობის ხელშეშლაში ადანაშაულებს. იმასაც ამბობენ, ირაკლი ალასანია სწორედ ამ ცენტრს შეეწირაო. ხელისუფლებას რუსეთის აგრესიის გააქტიურება ხომ არ აფრთხობს?

— ალასანია შიდაკოალიციურ დაპირისპირებას შეეწირა, მაგრამ ნაწილობრივ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მისი ზედმეტად პროდასავლურობა ხელისუფლებისთვის დისკომფორტის შემქმნელი იყო, ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნია ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელს. ამაში ისეთი ნიუანსებია, რომ შეიძლება ვერ მოვახერხოთ სიმართლის დადგენა. რაც შეეხება ნატო-ს საწვრთნელ ცენტრებს, რასაკვირველია, გარკვეული ხიფათისა და გამოწვევის შემცველია. დარწმუნებული რომ ვიყო, რუსეთი საქართველოს მიმართულებით რამეს არ ჩაიდენს, ვიტყოდი, ეს ცენტრი საჭირო არაა-მეთქი, მაგრამ როცა რუსეთი დასაბმელია და ვხედავ, რომ დასავლეთი მის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით ეფექტიანი ვერ არის, ამ თემის განხილვა ნამდვილად ღირს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქართულ-რუსული ურთიერთობების ახალი ფორმატის შექმნა დაიწყო. რუსებმა ერთგვარი გამოცდა ჩაუტარეს საქართველოს ხელისუფლებას და როგორც კი აქ საზოგადოება აყვირდა, იმწუთას კარასინმა (ვინ ეკითხება, მაგრამ მაინც), პირადი ბრძანებით, გააჩერა ბორდერიზაცია ანუ მიგვანიშნეს, რომ ეს არის პროცესი, სადაც გადაწყვეტილების მიღება შეიძლება. ვგულისხმობ კარასინი-აბაშიძის მოლაპარაკების ჟენევის ფორმატს. როცა ხელი ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ, დაიწყო რუსეთ-აფხაზური ხელშეკრულების მომზადება. როგორც კი ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის განლაგებაზე საუბარი აქტიურად დავიწყეთ, მათ ეს პროცესი ე.წ. სამხრეთ ოსეთთან გააქტიურეს. გალში სამხედრო მზადება და ის, რაც მოხდა გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში, რასაკვირველია, ერთმანეთთანაა დაკავშირებული და უნდა ვიცოდეთ, რომ რუსები თავისას არ მოეშვებიან, რაც უნდა ჩაბმულები იყვნენ უკრაინასთან კონფლიქტში, თუ არ დაიწყო მართლა მასშტაბური ომი დასავლეთთან. ან ამას უნდა შევეგუოთ, ან პოლიტიკა შევცვალოთ. ერთი და იგივე ფოცხს ვაბიჯებთ განუწყვეტლივ და მერე შუბლში ამ ფოცხის ტარი გვხვდება. ახლა უმჯობესია, ყველაფერი შეაჩერონ, ვიდრე არ გაირკვევა ვითარება. ან შეაჩერონ პოლიტიკური გადაწყვეტილებები და ჰუმანიტარული გადაწყვეტილებების გააქტიურებაზე გადავიდნენ. მესმის, რომ დასავლეთის წინაშე საქართველოს სერიოზული ვალდებულება აქვს და ამ ვალდებულებების ფორმატიდან გამოსვლა ძალიან რთულია, მაგრამ გამოცდილი და ჭკვიანი ადამიანები გამოსავალს ყოველთვის პოულობენ და მსოფლიო ისტორიას ამის მაგალითები აქვს.

ვერსიანიუსი

შსს მინისტრის მოადგილემ ზუგდიდელებს პროექტი „უსაფრთხო ქალაქი“ გააცნო

ქ. ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში სამოქალაქო საზოგადოებასა შსს-ს წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. მინისტრის მოადგილემ არჩილ თალაკვაძემ შსს ადმინისტრაციისა და გენერალური ინსპექციის წარმომადგენლებთან ერთად მოქალაქეებს პროექტ „უსაფრთხო ქალაქის“ ფარგლებში დანაშაულის პრევენციის, დანაშაულთან ბრძოლის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის და სამინისტროს მიერ გაწეული სამუშაოს, ასევე მიმდინარე და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა და შეკითხვებს უპასუხა. შეხვედრას, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შს მინისტრის მოადგილემ შეხვედრის დასრულების შემდეგ აღნიშნა, რომ ზუგდიდში სამოქალაქო საზოგადოება და მედია ძალიან აქტიურია, რაც მათთან ურთიერთობას უფრო კომფორტულს ხდის. პროექტის ფარგლებში საზოგადოებასთან შეხვედრები საქართველოს რეგიონებში კვლავ გაგრძელდება და სულ ათ ქალაქში ჩატარდება, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მონაწილეობას მმართველობის პროცესში და შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის საზოგადოებაში ინფორმირებულობის ამაღლებას, ასევე დანაშაულის პრევენციას და თემისთვის აქტუალურ საკითხებზე რეაგირებას.

„ვერსიანიუსი“

როგორ ნიშნავდნენ ნაციონალები „ზონაზე პალაჟენცებს“

კანონიერი ქურდებისა და ციხის ადმინისტრაციის ფარული კავშირები

პატიმარი №0578

ის, თუ როგორ მიდი-მოდიან „კანონიერი ქურდები“ საქართველოში და როგორ არ იჭერს მათ ხელისუფლება, ბოლო დღეების მთავარი თემაა. თუკი მართლაც ასეა, ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებს, მაგრამ ის, რომ საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები ხმამაღლა აცხადებენ, ჩვენს დროს ასე არ იყოო, სიმართლეს არ შეესაბამება. თუნდაც ის არ არის სიმართლე, რომ ნაციონალების დროს ციხეებს მაყურებლები, თურმე, არ მართავდნენ. ისტორიას, რომელსაც ქვემოთ გიამბობთ, საკუთარი გმირები ჰყავს და შეცვლილი ერთი სახელი და გვარიც არაა ანუ ისინი რეალური პიროვნებები არიან და ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მათ ძალიან კარგად იცნობენ.

როცა რუსთავის №17 ზონიდან ე.წ. პალაჟენეცი კახა მარღანია წაიყვანეს, ე.წ. კაიბიჭებმა იმაზე დაიწყეს ჩალიჩი, თუ ვინ გახდებოდა მისი შემცვლელი ანუ ვინ იქნებოდა ზონაში ნომერი პირველი. საამისოდ კი საქმეში „ქურდების“ ჩარევა იყო საჭირო და ამიტომ, მაყურებლებმა ზონის იმჟამინდელ დირექტორს, ლაშა ბრეგვაძეს სთხოვეს, ტელეფონები ჩაგვირთე, საზღვარგარეთ რომ დავრეკოთო. როგორც წესი, საზღვარგარეთ კვირაში ერთხელ, შაბათობით ირეკებოდა, მაგრამ ლაშამ გამონაკლისი დაუშვა და სამი დღე ზედიზედ ჩართო ტელეფონი. „კაიბიჭებმაც“ ტელეფონებთან დაივანეს და, თუ ვინმე ქურდს იცნობდა, ყველამ ყველასთან დარეკა. მიზანი ერთი იყო: ქურდებს რეკომენდაცია უნდა გაეწიათ, ვინ იქნებოდა ზონის „პალაჟენეცი“.

„იდიოტი უნდა იყო კაცი, რომ ვერ ხვდებოდე, ტელეფონები ისმინება. ახლა ლაშას მარტივად შეუძლია ნებისმიერი, ვინც ქურდებთან რეკავს, შავი სამყაროს წევრობის ბრალდებით გლდანის ციხეში გადაამისამართოს და სროკი დაუმატოს. რა ხიბლი აქვს პალაჟენცობას ასეთი და რატომ არ ეშინიათ კაიბიჭებს?!“ — ჩუმად ჰკითხა პატიმარმა №0578-მა ერთ-ერთი რეგიონის მაყურებელს.

„ზონა მაყურებლების და პალაჟენეცის გარეშე ვერ იქნება. ამიტომ, ბრეგვაძეს ეს ამბავი დეპარტამენტიდან აქვს გამწვანებული. რა თქმა უნდა, უსმენენ და იმასაც ადგენენ, რომელი ქურდი რომელ ქვეყანაში ან ქალაქშია. ეს იმათთვის ინფორმაციაა, მაგრამ სათავისო ინფორმაცია. ქურდებიც შეგუებულნი არიან ამას, ევროპაში არიან და კიდიათ ეგ ამბავი. რაც შეეხება პალაჟენცობას, მასზე იქნება ყველაფერი დამოკიდებული. ცოტა სარისკოა — ზონა უნდა გეჭიროს, კარცერში სიგარეტი და ჩაი უნდა ჩადიოდეს, მაგრამ ხიბლიც დიდი აქვს. აქეთ ობშიაკს აკონტროლებ, მერე, ამ კაიბიჭებიდან ნახევარზე მეტს ქურდობა უნდა. პრინციპში, ყველამ იცის, რომ პალაჟენეცმა ზონის ნაჩალნიკის კაპრიზებიც უნდა გაითვალისწინოს, ადრე ასე არ იყო, მაგრამ დრომ მოიტანა, რა“, — აუხსნა მაყურებელმა.

„ანუ, ყველამ ყველაფერი იცის: სამართალდამცავებმა იციან, რომ აქედან ქურდებთან ირეკება, იციან, რომ მაყურებლები არიან, იციან, რომ ახალ პალაჟენეცზე მიდის ჭიდაობა და არაფერს აკეთებენ?“ — გაოცდა №0578.

„და რა უნდა გააკეთონ? ბრეგვაძეს რა ურჩევნია — 3000 პატიმრის წუწუნი მოისმინოს თუ ერთ კაცს ელაპარაკოს? ასე უფრო პრაქტიკულია. ისე, რომ იცოდე, ქურდები ვისაც გაამწვანებენ, დეპარტამენტმა თუ არ გაამწვანა, პალაჟენეცი ვერ გახდება ანუ ამათ უკონტროლო ტიპი არ სჭირდებათ“, — გაეღიმა მაყურებელს.

„ანუ, ქვარცხავა გამორიცხულია“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

„ჰო, ქვარცხავა გამორიცხე“, — დაეთანხმა რეგიონის მაყურებელი.

ცნობისათვის: გიორგი ქვარცხავა ზონის მაყურებელი იყო და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, თუმცა იმის გამო, რომ ბრეგვაძემ მასთან ურთიერთობა ვერ ააწყო, დიდად არ ეპიტნავებოდა. გიორგი მუდმივად პატიმრების ინტერესების დაცვას ცდილობდა, სამართლიანი კაცის სახელი ჰქონდა და მარტივად შეეძლო, ერთ დაძახებაზე მთელი ზონა აეყოლიებინა.

„გიო, შენ რატომ არსად რეკავ?!“ — პატიმარმა №0578-მა ქვარცხავას კამერაში მიაკითხა.

„აზრი არ აქვს, ნახევარ ზონას გაკრიტავს ბრეგვაძე და ჩემს პალაჟენცობას არ დაუშვებს, რატომ შევაწუხო ჩვენი ძმები, ისედაც ბევრი საფიქრალი აქვთ, კიდევ იმაზე არ ვაფიქრო, ქვარცხავა როგორ ვერ გავიტანეთო“, — გაეღიმა მაყურებელს.

„და მართული პალაჟენეცი რაღად გინდა, აბა?!“ — დაინტერესდა №0578.

„სხვანაირად არ გამოდის, თანაც ბოლომდე მართული არ იქნება და ისეთი ვინ უნდა იყოს, მე რაღაცები ვერ გავაკეთებინო ზონისთვის? იქეთ ლაშა მართავს, აქეთ მე გავუხურებ და ავეწყობით, რა“, — სიცილით თქვა ქვარცხავამ.

მეორე დღეს კაიბიჭებმა სხადნიაკი გამართეს. ყველა ყურებჩამოყრილი იყო — ქურდებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ზონის პალაჟენეცი გიორგი ქვარცხავა უნდა ყოფილიყო.

„არ გამოვა ეგ საქმე. ქურდებსაც ვუთხარი, ნაჩალნიკი და დეპარტამენტი წინააღმდეგი არიან-მეთქი, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურთ. შენც ხომ იცი, გიო, რომ არ გამოვა, გახდები პალაჟენეცი და მეორე დღეს კრიტის პასაჟირი ხარ. რამე უნდა მოვიფიქროთ, ეგებ, ქურდებს შენ დაელაპარაკო“, — უთხრა ქვარცხავას ზონის კიდევ ერთმა მაყურებელმა რეზო ნაზარაშვილმა, რომელიც ამავდროულად, ლაშა ბრეგვაძის ნათლული(!) იყო და მისი დიდი ნდობით სარგებლობდა.

„მე არავისთვის არაფრის თქმას არ ვაპირებ. ვისაც გადაწყვეტენ, ის იქნება“, — გამოაცხადა გიორგიმ და სხადნიაკიც დაიშალა.

საღამოს, ზონის დაკეტვის შემდეგ, ტერიტორიაზე რეჟიმი შემოვიდა და ნაზარაშვილი და ქვარცხავა ლაშა ბრეგვაძის კაბინეტისკენ წაიყვანა. ორივე დაახლოებით, ერთ საათში დაბრუნდა და დილით პატიმარი №0578 გიორგის კამერაში იყო.

„რა გითხრა ლაშამ?!“ — ჰკითხა მაყურებელს.

„არაფერი. არ გამოვა ეგ საქმე და თუ კრიტი მოგენატრა, გაგიშვებო. კრიტიც ჩვენთვის არის აშენებული და წავალ-მეთქი, ასე ვუპასუხე და არ ვიცი, რა იქნება. პრინციპში, ჩემთვის სულ ერთია, ორი წელი მაქვს დარჩენილი, არ არის ეს ბევრი, ფეხებით რომ დამკიდონ, მაინც გავძლებ“, — გაეღიმა გიოს.

მეორე დღეს სხადნიაკი ისევ გაიმართა და ამჯერად მთელ ზონას უხმეს.

„პალაჟენცები მე და მჭედლო (ირაკლი მჭედლიძე) ვიქნებით, ასე გადაწყვიტეს ქურდებმა. საბერძნეთშიც დავრეკეთ და უკრაინაშიც, ყველა საქმის კურსშია. შვიდი სული ქურდის დაბრო გვაქვს“, — რეზო ნაზარაშვილი ჩუმად ლაპარაკობდა.

№0578-მა ქვარცხავას გახედა, ის კი საკვნეტელათი ფრჩხილებს იჭრიდა და ოდნავ შესამჩნევად იღიმოდა.

ცხოვრება თითქოს ჩვეულად გაგრძელდა, მაგრამ ახალი პალაჟენეცები ატყობდნენ, რომ მათზე მეტი ავტორიტეტი ქვარცხავას ჰქონდა. ამიტომ იყო, ნებისმიერ პრობლემაზე ყველა მასთან რომ მიდიოდა და პატიმრებსა და პალაჟენცებს შორის ერთგვარი შუამავალი სწორედ ის გახდა. ერთ დღეს, პატიმარი №0578 ოფიცრებთან მივიდა და უთხრა, ლაშასთან საქმე მაქვს, ადმინისტრაციის კორპუსში გადამიყვანეთო. ოფიცრებმა დირექტორს რაციით ამცნეს და მანაც უარი არ თქვა. №0578 ბადრაგს მორჩილად გაჰყვა, მაგრამ როგორც კი ბრეგვაძის კაბინეტში შევიდა, გაოცდა. მაგიდასთან მჭედლიძე და ნაზარაშვილი ისხდნენ, ბრეგვაძე სავარძელში გაწოლილიყო და სამეული სუშს მიირთმევდა.

„დაჯექი, ჭამე“, — უთხრა ბრეგვაძემ №0578-ს.

„არა, მადლობა. მიჩვევა იცის, ბატონო ლაშა, — ირონიით უთხრა პატიმარმა და დააყოლა, — სხვა დროს მოვალ, ხელს არ შეგიშლით ახლა“.

„ჭამე, ჭამე. სუშს როდის შეჭამ კიდევ, კაცმა არ იცის, ლიანდაგივით სროკი გაქვს“, — გაეღიმა ნაზარას.

„იქ, ზონაზე, ბიჭებს მარილი არ აქვთ, ბალანდას რომ მოაყარონ და მე აქ სუში ვჭამო?!“ — აშკარა სიბრაზით თქვა №0578-მა.

„და ჩვენ რომ ვჭამთ, ვაშავებთ?!“ — კბილებში გამოსცრა მჭედლომ.

„ყველამ თავის საქმე იცის“, — არ დაუთმო №0578-მა და ამ დროს, ყველასთვის მოულოდნელად, კარი ქვარცხავამ შემოაღო.

„შენ რაღა გინდა?!“ — გაოცდა ბრეგვაძე.

„არაფერი, ბიჭები არიანო აქეთ და საქმე მქონდა. როგორც ჩანს, არ გცალიათ, მერე მოვალ“, — გაეღიმა ქვარცხავას.

„დაჯექი, ჭამე“, — უთხრა ბრეგვაძემ.

„როგორ გეკადრებათ, ბატონო ლაშა, უფროსობა ზის, არესტანტები ვდგავართ, ასეა წესი“, — ირონიით თქვა ქვარცხავამ და მჭედლოს და ნაზარას გადახედა. იმათმა თავი ჩაღუნეს, გიომ №0578 გაიყოლა და ოთახიდან გავიდა.

„არ გაპატიებენ მაგას, აუცილებლად მოგთხოვენ პასუხს“, — უთხრა №0578-მა საკნისკენ მიმავალ მაყურებელს.

„ვერაფერსაც ვერ მომთხოვენ. ნაჩალნიკთან ერთად სუშის ჭამენ, ამ დროს კარცერში სიგარეტი ლამის ტორპედოთი გავატანო სასტავს და ეგენი მეტყვიან რამეს?!“, — გაეღიმა გიოს.

გიორგი ქვარცხავა მეექვსე, ე.წ. კრიტის ზონაში წაიყვანეს. ნაზარა და მჭედლო გათავისუფლებამდე პალაჟენეცები იყვნენ, გათავისუფლების შემდეგ კი გამწარებულმა პატიმრებმა ისინი თავისუფლებაზე ნახეს და... ორივე ცოცხალია, მაგრამ როგორც „უძინართა მზეშია“, ვის რად უნდა ასეთი სიცოცხლე?!

„ჭირი დაეტაკოთ ამათაც, იმათაც და მერე ვინც მოვა, იმასაც!“

რეპორტაჟი ნავთღუღის ბაზრიდან

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

ლარი ჯანსაღადაა და კურსის ცვლილებაც მოსახლეობაზე დიდად არ აისახება! — ეს ქართული ყოფის მორიგი ზღაპარია, რომელსაც, კაცმა არ იცის, როგორი დასასრული ექნება... სამწუხაროდ, ძლიერნი ამა ქვეყნისა, მაშინაც კი, როცა რიგით მოკვდავებს გაზრდილი კომუნალური ხარჯი, გაძვირებული საწვავი, მედიკამენტები და, რა თქმა უნდა, პროდუქტი, მხრებზე მძიმედ აწვება, სხვა რეალობაში ცხოვრობენ. ისე, პროდუქტზე ფასების მატება მანამ დაფიქსირდა, ვიდრე მოსახლეობა გაზის გაძვირების შესახებ შეიტყობდა: მაგალითად, თუ ადრე კარტოფილს 0,80 ლარად იყიდდით, გვიან შემოდგომაზე მისი ღირებულება 1 ლარი გახდა, ახლა კი 1,20-ია; გაძვირებულია კომბოსტოც, სტაფილოც, ჭარხალიც... სათბურის კიტრსა და პომიდორს „ნავთლუღის ბაზარში“ ხალხი უკვე დელიკატესად მოიხსენიებს.

— აბა, რა გითხრა, შვილო, ყველაფერი გაძვირდა... ხახვი რო ხახვია, იმასაც კი ცეცხლის ფასი აქვს. ტრანსპორტირება ძვირია, მეურნეობის შენახვა ძვირია და ჩვენც ვაძვირებთ პროდუქტს, — მეუბნება შუახნის ქალბატონი, რომელიც გაყინულ ხელებს ქურთუკში მალავს და დახლზე დაწყობილ ბოსტნეულზე მიმითითებს, — კარტოფილი 25, კომბოსტო 15, სტაფილო და ჭარხალი 10 თეთრითაა გაძვირებული. თითქოს არაფერი, მაგრამ ერთიანობაში, საკმაო ხარჯი გამოდის.

— აქამდე სააკაშვილს ვწყევლიდით, ახლა კი აღარ ვიცი, წყევლა ვისთვის გავიმეტო... ამ კაცის ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა... ავირჩიეთ, ვფიქრობდით, ფული ბევრი აქვს, ქვეყნის ჭამას არ დაიწყებსო და ამ დროს, შარშანდელი თოვლივით გაქრა. ხელისუფლებაში რესპუბლიკელები წამომისკუპა. მაგათი იმედი უნდა ჰქონდეს გლეხს? — სიბრაზეს ვერ მალავს ნათელა კაჭკაჭიშვილი, — მოდი, გენაცვალე, ნახე, სულ ნარჩევ ყველს ვყიდი და კლიენტი არსად ჩანს. ვინ გავამტყუნო, 9 ლარი ღირს იმერული ყველი. ამას წინათ ერთი მოხუცი ქალი მოვიდა და ფასი რომ გაიგო, ცრემლები წამოსცვივდა, თვიდან თვემდე პენსიას ველოდები და არ ვიცი, პროდუქტი ვიყიდო თუ წამლებიო... ესაა ცხოვრება?!

— ვინც უნდა მოვიდეს, ხალხს არაფერი ეშველება... რატომ გაგვიძვირეს ყველაფერი? ბაზარში ხალხი აღარ დადის — ფული არ აქვს და როგორ შეიძინოს პროდუქტი... აქამდე დღეში ერთ ძროხას რომ ვყიდდი, ახლა ისეც ხდება, მხოლოდ 2-3 კილო ხორცი თუ იყიდება.... მწვანილზეა მოსახლეობა გადასული, — როხროხებს ბატონი გივი და მძიმე ყოფის მიუხედავად, მაინც ხუმრობს, — ხალხი ამბობს, ერთადერთი, რაც წელს იაფია, მწვანილია და ბარემ, ბოსტანში დაგვაბანო...

— ხო, სესტრაჯან, მწვანილი წელს იაფია, მაგრამ ესეც გაძვირდება... აბა, შტო ხაწიწე, ყველაფერი გაძვირდა და ჩვენ იდიოტები ვართ? — უკმაყოფილოა მემწვანილე, რომელსაც თავშალი წაუკრავს და მწვანილით სავსე დიდ კალათს ძლივს მიათრევს.

— სად მიგაქვს? — გაოცებული ვეკითხები...

— სად და — ერთ ადგილზე არ მაჩერებენ... ქუჩაში ვაჭრობას არ გვიშვებენ. აქ რომ გავჩერდე, დამადგება ის დურაკი პოლიციელი და წამართმევს ყველაფერს. არა, ლამაზო, შარი არ მინდა, თავი დამანებე.

— ჭირი დაეტაკოთ ამათაც, იმათაც და მერე ვინც მოვა, იმასაც, — საუბარში წიოკით ერთვება ლიანა დეიდა, რომელსაც დახლზე მეგრული აჯიკა, ტყემალი და სუნელები გამოუფენია, — ასე დაწერე ზუსტად, ჭირი დაეტაკოთ! არ მენანება მაგათთვის და თუ ესეც არ იქნება საკმარისი, მეგრულ აჯიკასაც მივართმევ საჩუქრად. ვიღას უნდა შენი სუნელი, შესაკმაზი არაფერი აქვს ხალხს... რისთვის მოეთრნენ, ჩვენთვის ცხოვრება რომ გაემწარებინათ?!

მხოლოდ ბოსტნეული კი არა, სხვა პროდუქტიც საგრძნობლადაა გაძვირებული: ზეთის ფასმა 20-დან 50 თეთრამდე მოიმატა, გაძვირებულია ბურღულეულიც, რძის პროდუქტიც, კვერცხიც, მაგრამ მთავარი ეს კი არა, ისაა, რომ ლარის კურსს არაფერი უჭირს და ცხოვრებაც მშვენიერია, ოღონდ ვისთვის — ესაა საკითხავი.

1. სისხლის აღრევა
2.შემოსავ. თანამდებ. დარეგ. ნათესავებისთვის
3. იგივეა, რაც მინანქარი
4. ფეხბურთის მატჩის ნახევარი
5. საქართველოს დედაქალაქი
6.ცხენოსნობის მასწავლებელი
7. ქუჩის ლამაზი ნათურა
8. ძვირფასი ტახტი, სავარძელი
9. მოქალაქეობის ამორჩევა
10. ინგლისური ტრადიციული ლუდი
11. კენიის დედაქალაქი
12. გემების სარემონტო საწარმო
13. რიცხვის მეათასედი ნაწილი
14. (ძვ.) სასახლე
15.მიწიდან ამოზრდილი ცოცხალი ორგანიზმი
16. ლაბორატორიული ჭურჭელი
17. საგანგებო დავალება
18. მდინარე აფხაზეთში
19. მდინარე ინგლისში
20.წიგნის თაგში დართული ორნამენტი
21. საბჭოთა მარქსისტი
22. ნიმფა კალიფსოს კუნძული
23.დღეში 5-ჯერ შქასრ. მუსლ. ლოცვა
24.იესო ქრისტეს ნათლია
25.ბოთლში მცხოვრები ზღაპრული არსება
26. ცეცხლგამძლე აგური
27.ქვ. ჯარის საბრძოლო წყობა ძვ. საბერძნეთში
28.ძველბერძნული ორყურა ჭურჭელი
29. დეკორატიული ხე
30.ჰოლანდ. ფეხბურთ.
31.ფრანგ. ცეკვა
32.უმცირესი ლუწი ნატურალ. რიცხვი
33. ნაკურთხი წყალი
34.რასობრ. დისკრიმინაციის ფორმა
35. მხარე მიდამო
36. ჰოლივუდის მსახიობი მიკი ...
37. საუბარი ორ პირს შორის
38. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
39.ჯუჯა ქვეყანა ...-მარინო
40.მწერალ დუმბაძის სახელი
41. შინაური ფრინველი
42.ჰიდროტექნიკური ნაგებობა
43.ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ...“
44. მქუხარე აპოოდისმენტები
45. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
46. ბერძნული ანბანის III ასო
47.ვაზების მწკრივი ვენახში
48. ალუბლის ჯიში
49. მომღერალი ... ფიცჯერალდი
50. წყნარი ოკეანის ზღვა
51. გალაკტიონის ლექსი „ბემი ...“
52. მწერალი ... მორჩილაძე
53. იტალიის საფეხბურთო კლუბი
54. გასაშლელდასაკეცი სანიავებელი
55. ნახევარდოლის მსგავსი სარტყმელი საკრავი
56.ამერიკ. ჯაზმენი ... ჯერო
57.ელექტრული მუხტების მოძრაობა
58. ვოკალური მუსიკის ჟანრი
59. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა

კლიენტების მისაზიდად ოფიციანტებმა გაიხადეს

სან-ანტონიოში, ერთ-ერთი მექსიკური რესტორნის ადმინისტრაციამ თანამშრომლები, მუშაობის პროცესში საცვლებამდე გააშიშვლა, კლიენტები რომ მიიზიდონ. ოფიციანტებს სტანდარტული დრესკოდი არ აქვთ, მათ ურჩევენ, რომ მაქმანებიანი საცვლები, მოკლე შორტი, საცურაო კოსტუმი ან მინიკაბები ჩაიცვან. წელსზემოთ კი გამჭვირვალე ტოპი ან პერანგი შემოიცვან. რესტორნის მფლობელის განცხადებით, რომელიც ცოტა ხნის წინ თავადაც ოფიციანტი იყო, საკუთარ დაწესებულებაში კლიენტებისა და პერსონალისთვის მეგობრული და მხიარული ატმოსფეროს შექმნა სურდა. ამბობენ, მამაკაცი-კლიენტები, ვინც ერთხელ მაინც შევიდა ამ რესტორანში, იქ კვლავ ბრუნდება.

ბრენდებს საიდუმლო ძაფით დაიცავენ

მალე მოდური სამოსი, ფულის კუპიურების მსგავსად, გაყალბებისგან საიმედოდ იქნება დაცული სპეციალური ძაფის წყალობით, რომლის დანახვაც შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია. ამ ძაფის წყალობით ადვილად გაარკვევთ, შეძენილი ტანსაცმელი ბრენდია თუ არა. საიდუმლო ძაფი შვედეთის ტექნოლოგიურ ინტიტუტში კრისტიან მიულერმა შექმნა, რომელიც პოლიეთილენისგანაა დამზადებული და სპეციალური ოპტიკური თვისებებითაა აღჭურვილი. თუ ქსოვილში ასეთი ძაფია, მას იისფერი შეფერილობა აქვს, პოლარიზებულ შუქზე კი — ვარდისფერია. მიულერის თქმით, ასეთი ძაფი მსოფლიო ბრენ-დებს საშუალებას აძლევს, შეუმჩნეველი ემბლემა შექმნან საავტორო სამოსზე და ასე შეებრძოლონ ყალბ ნაწარმს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერები ამ მიღწევაზე არ ჩერდებიან და აპირებენ, მსგავსი რამ გაჯეტებისთვისაც შექმნან.

ყავის ჭკვიანი მადუღარა შეიქმნეს

შინ თუ სამსახურში ყავის მადუღარას ხშირად რამდენიმე ადამიანი იყენებს, ამიტომ ყოველ ჯერზე, შესაძლოა, შემთხვევით სხვისი გემოვნებით შერჩეული ყავა დალიოთ, ანდა, თქვენს მიერ ჩამოსხმულ ესპრესოს რძიანი ყავის გემო ჰქონდეს. ამ პრობლემას ამიერიდან ყავის „ჭკვიანი“ მადუღარა მოგიგვარებთ. ეს მაღალტექნოლოგიური მანქანა, რომელსაც Memory უწოდეს, თქვენთვის სასურველ სასმელს დაიმახსოვრებს და ყოველთვის მას ჩამოგისხამთ. მადუღარა ასეთი პრინციპით მუშაობს: სენსორულ ეკრანზე ირჩევთ, როგორი ყავა გინდათ და მას თქვენს პროფილზე, ხელისგულის ანაბეჭდთან ერთად შეინახავთ. მადუღარას ყოველი გამოყენების დროს, უბრალოდ, ეკრანზე ხელს დაადებთ, მანქანა აღიქვამს მონაცემებს და სასურველ „ღვთაებრივ სასმელს“ ჩამოგისხამთ.

სუდოკუ

ადვილი

			6		5			9
	1	6		4			5	
5		3			8	1		
		5						8
8		2				9		3
1						2		
		9	7			3		1
	6			8		5	2	
2			1		3			

სტანდარტი

5		6					9	
3	7		8					
	1			7				3
		3		5			1	
1	2						6	5
	6			2		3		
9				1			3	
					9		8	6
	3					9		2

რთული

		3	9	1				
	4		7		6	1	9	
1					2	7		6
		1		9				
			1		5			
				2		6		
2		4	6					9
	5	9	3		4		6	
				7	9	4		

ექსპერტი

	6			1			2	
4	8		2	7				
5		2	4		6			
		9					5	
6		4				7		1
	7					2		
			1		2	5		6
				4	5		1	2
	1			6			4	

ბრიტანელ მოსწავლეებს ტყუილებს ასწავლიან

ნისლიან ალბიონზე, კემბრიჯის Perse School-ში ტყუილის თქმისთვის მოსწავლეების წახალისება ხდება. სოციალურ ქსელში უამრავი ხუმრობა გაჩნდა იმის თაობაზე, რომ ამ სასწავლებელში პოლიტიკოსების ახალ პლეადას ამზადებენ, რომლებიც კარგად შეძლებს მოსახლეობის მოტყუებას. აქაურ სტუდენტებს არ ეშინიათ ტყუილისთვის დასჯის, თუკი ის თავის გადასარჩენადაა მოფიქრებული. მოსწავლეები, რომლებიც ათი წამის განმავლობაში საკუთარი საქციელის გასამართლებლად საკმაოდ დამაჯერებელ ცრუ ისტორიას შეთხზავენ, დაწესებულების რექტორატისგან შექებას დაიმსახურებენ. როგორც სკოლის დირექტორი აცხადებს, ლაპარაკია არა დანაშაულებრივ ტყუილზე, არამედ „პატარა, თეთრ სიცრუეზე“. მისი თქმით, ეს მოზარდ თაობას ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უნარის სძენს. როცა სტუდენტს ათი წამის განმავლობაში შეუძლია მოიფიქროს მისთვის რთული სიტუაციიდან მახვილგონივრული გამოსავალი, ეს პარალელურად მჭერმეტყველებას ავითარებს, — ამბობენ რექტორატის წარმომადგენლები.

ყველა დროის საუკეთესო სათამაშო

კონსტრუქტორი „ლეგო“ მოფლიოში ნყველა დროის საუკეთესო სათამაშოდ აღიარეს. შესაბამისი რეტინგი ინტერნეტ-რესურსმა ToyNews შეადგინა სათამაშოების მწარმოებლებსა და ამ ინდუსტრიის სხვა პროფესიონალ მონაწილეებს შორის. სიაში მეორე ადგილი „მონოპოლმა“, მესამე კი Action Man-ის თოჯინებმა დაიკავეს. ტოპ-ათეულში შევიდა ასევე რბოლის მანქანები და Scalextric-ის ტრასები. მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა მაგიდის თამაში Subbuteo. მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყვეს რუბიკის კუბიკმა და სათამაშოებმა „ვარსკვლავური ომებიდან“. ათეულში მოხდვნენ ასევე Matchbox-ის მანქანები, თოჯინა ბარბი და სათამაშო ბანქო. როგორც რესურსი აღნიშნავს, „ლეგოს“ კონსტრუქტორები ადრეც ყოფილა საუკეთესო სათამაშოების ლიდერი, თუმცა, ამ შემთხვევაში მისი პირველობა თავად სათამაშობის მწარმებლებმა აღიარეს და არა საზოგადოებამ.

ეაგის დამტენი მობილურებისთვის

თანამედროვე მობილური მოწყობილობები ელექტროენერგიის დიდ რაოდენობას მოიხმარენ, ამიტომ მათი გამუდმებით დატენვა გვიხდება, რადგან აკუმულატორის მოცულობა არ ჰყოფნის მთელი დღით მუშაობას. სხვადასხვა კომპანიები ცდილობენ გადასატანი დამტენების შექმნას, რომელიც ქარისა თუ მზის ენერგიაზე იმუშავებს, თუმცა ისინი ან მეტად მოუხერხებელია ან არაეფექტური. კიდევ ერთი ქმნილება ამ თემაზე — კომპაქტური დამტენია. ის ჩვეულებრივ გაზზე მუშაობს, რომელსაც სანთებელისთვის იყენებენ. ახალ მოწყობილობას შეუძლია (გაზის ჩამატების გარეშე) 11-ჯერ დატენოს iPhone 6, ასევე სმარტფონები, პლანშეტები, ნოუთბუქები და უამრავი სხვა გაჯეტი. სიახლის ავტორები აცხადებენ, რომ უკვე მიიღეს თანხმობა გაზის დამტენის გამოყენებაზე თვითმფრინავში, ფრენის დროს. მწარმოებელმა კომპანიამ ახალი გაჯეტის მასობრივი წარმოებისთვის თანხის მოგროვება ინტერნეტში ცოტა ხნის წინ დაიწყო, თუმცა უკვე საჭიროზე მეტი მოაგროვეს. ასე რომ, სულ ამე გაზის დამტენი მობილურებისთვის გაყიდბაში მალე გამოჩნდება.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

6	3	2	1	5	4	8	9	7
5	1	9	8	7	6	4	3	2
8	7	4	9	3	2	1	6	5
7	2	3	6	4	1	5	8	9
9	8	1	7	2	5	3	4	6
4	6	5	3	9	8	7	2	1
1	5	6	4	8	9	2	7	3
3	9	8	2	1	7	6	5	4
2	4	7	5	6	3	9	1	8

სტანდარტი

2	9	1	6	5	4	3	8	7
8	3	6	2	7	1	9	5	4
7	5	4	9	3	8	2	6	1
6	8	7	5	4	3	1	2	9
5	2	3	1	9	7	6	4	8
1	4	9	8	6	2	5	7	3
9	1	8	7	2	6	4	3	5
4	7	2	3	1	5	8	9	6
3	6	5	4	8	9	7	1	2

რთული

1	9	4	5	3	7	8	6	2
3	2	8	1	4	6	5	9	7
7	6	5	9	2	8	4	3	1
2	4	3	8	1	9	7	5	6
9	5	7	3	6	2	1	8	4
8	1	6	7	5	4	9	2	3
6	3	1	4	9	5	2	7	8
5	8	2	6	7	1	3	4	9
4	7	9	2	8	3	6	1	5

ექსპერტი

1	7	9	2	5	8	6	4	3
6	5	4	3	1	9	2	8	7
3	8	2	7	6	4	5	1	9
5	6	8	9	7	3	4	2	1
4	3	1	5	2	6	7	9	8
2	9	7	4	8	1	3	6	5
9	4	6	1	3	7	8	5	2
8	2	3	6	9	5	1	7	4
7	1	5	8	4	2	9	3	6

მე-12 გვერდი: 1. ჩოჩორი; 2. ობოლი; 3. ოპალი; 4. „აცტეკა“; 5. ცელიბატი; 6. ეტრატი; 7. ფოლაქი; 8. ქარიბდა; 9. ონიქია; 10. აბატი; 11. ადელაიდა; 12. მარულა; 13. ზმნა; 14. ასკლეპიოსი; 15. ნავარა; 16. ოფისი; 17. იაუნდე; 18. ეტი; 19. ადიდა; 20. კარავი; 21. არგო; 22. ვისლა; 23. ოცნება; 24. ვალკირია; 25. უნცია; 26. აბედი; 27. აბულია; 28. ემბარგო; 29. შტაპელი; 30. ლოლუა; 31. ნაია; 32. აიკიდო; 33. კარაქი; 34. შაჰი; 35. ლოს; 36. დიკა; 37. სურა; 38. რილკე; 39. „გუგლი“; 40. დრეიკი; 41. კარე; 42. ტუ; 43. ბეილი; 44. რაჯა; 45. „დოჯი“; 46. „კლელია“; 47. მისისიპი; 48. აბრისი; 49. ათი; 50. ტიხტიხი; 51. სილიო; 52. ანოა; 53. კლიო; 54. აისი; 55. ბაზა; 56. ატოლი; 57. ამია; 58. ნარინი; 59. ლაზიერი; 60. ილი; 61. იეტი; 62. ბომბეი; 63. შიმპანზე; 64. ტარანტელა; 65. რუნი; 66. ანძა; 67. ჯოისი; 68. ჯაფა; 69. ერგი; 70. პაი; 71. ბერეტა; 72. უშუ; 73. გიზა; 74. ხანძარი; 75. გნუ; 76. ოლიფა; 77. ტატუ; 78. რილა; 79. ეირე; 80. პო 81. შარშან; 82. აღუ; 83. ლეპანტო; 84. ია; 85. აგნი; 86. ეროზია; 87. უმი; 88. ნიუ.

1. ბოსტნეული კულტურა
2. ეკლესიას მიდგმული საგვარეულო სასაფლაო, საძვალე
3. იაპონური ალუბალი
4. „შინაური„ მწერი
5. დროის უკმარისობა ჭადრაკში
6. გემის ტუალეტი
7. ევფრატის მეწყვილე „მდინარე“
8. მდინარე შვეიცარიასა და საფრანგეთში
9. რამდენიმე მუსიკალური ბგერის თანაყოფერადობა
10. უფლებრივად გათანასწორება
11. კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტები
12. მარჯნის კუნძულის შიგნით მოქცეული ზღვა
13. გაშეშების „გამომწვევი“ დააყადება
14. სამურაების თვითმკვლელობის წესი
15. სოიას ხაჭო
16. 1000 კგ
17. გრძელი კარავი
18. უკუზო აქლემი
19. სასროლეთი
20. მეფის ასულის ტიტული ევროპაში
21. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული
22. შხამიანი გომბეშო
23. მამაკაცის სასიმღერო ხმა
24. ნავთობისაგან მიღებული საცხი
25. ბიბლიური იაკობის საყვარელი ძე
26. ხმის მიცემით მიღებ. გადაწყვეტილება
27. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
28. ამერიკელი მსახიობი მირა ...
29. გრემი 2015-ის ტრიუმფატორი
30. სამურაების ცხოვრების კოდექსი
31. წილი საერთო საქმეში
32. ცალმხრივი დიფუზიის პროცესის ნაირსახეობა
33. ჰოლივუდის ლეგენდა მარლონ ...
34. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
35. მარცვლეული კულტურა
36. აღტაცების გამომხატველი შეძახილი იაპონიაში
37. წყლიანი ადგილი უდაბნოში
38. საცალფეხო გზა
39. პერსევსის ცოლი ბერძნულ მითოლოგიაში
40. აფრიკული შხამიანი ბუზი
41. მოდური ტანსაცმლის გერმანული ფირმა
42. საბერძნეთის კუნძული
43. ბილიარდის ჯოხი
44. ქარ. ხალხური სიმღერა
45. სატელეგრაფო ანბანის შემქმნელი
46. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
47. მდინარე პერუში
48. ამერიკელი მომღერალი კრისტინა ...
49. ზევსის დედა
50. საგანთა ნუსხა
51. საშუალო ხმა სამხმიან სიმრერაში
52. იუდეას ცნობილი პროკურატორი
53. ივივეა, რაც ახლომხედველობა
54. ზღაპრული ცხენი
55. წყლის ტრანსპორტი
56. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა
57. ანტილოპას სახეობა
58. გზა - ლათინურად
59. ცხოველის დორბლი, დუჟი
60. მუხის ნაყოფი
61. მტკვრის შენაკადი
62. არაყის სახელწოდება გერმანიაში
63. ინდიელთა ტომი
64. ოსური ცეკვა
65. მწვანე კონცხის კუნძულები ანუ ...-ვერდე
66. მიხოს ცოლი კახურ ანეკდოტებში
67. ათენის საფეხბურთო კლუბი
68. ხელის საგრილობელი
69. კოლხი მედეას დედა
70. ჩუქურთმიანი ქვა ბეჭედში
71. ამერიკელი მსახიობი ... ტრავოლტა
72. შხამიანი გველი გველგეს-ლასებრთა ოჯახიდან
73. ლეგენდარული იტალიელი ფეხბურთელი
74. ჰორიზონტალური ფიცარი ფანჯრის ქვეშ
75. ორი წერტილი კამათელზე
76. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი
77. ქალაქი გარეკახეთში
78. მედუდუკეთა ანსამბლი
79. ტირიფის სახეობა
80. მიმართვა ფრანგი ქალბატონისადმი
81. ძაფისებური წანაზარდი ადამიანის თავზე
82. ხუროთმოძღვრების ძეგლი რაჭაში
83. ძველი ათენის უმაღლესი სასამართლო
84. ქართული ანბანის V ასო

მორყალება დასჯადი იქნება

ნორვეგიის ხელისუფლება ახალ კანონპროექტს იხილავს, რომლის მიხედვითაც, ნებისმიერი ადამიანი, ვინც კი მათხოვარს თავშესაფარს, ფულს, ტანსაცმელს ან საკვებს მისცემს, შესაძლოა 12 თვის განმავლობაში გისოსებსმიღმა აღმოჩნდეს. აღსანიშნავია, რომ თავიდან კანონპროექტი პროფესიონალი მათხოვრების ორგანიზებული ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში შემუშავდა, თუმცა, მერე ჩარჩოები გაფართოვდა. პოლიციის თანამშრომლებს სრული უფლება უნდა მივცეთ, მიმართონ მკაცრ ზომებს იმ პირების წინააღმდეგ, ვინც ხელს უწყობს მათხოვრების დიდი ჯგუფების მომრავლებას, — ასე ხსნიან კანონის მიღების აუცილებლობას იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები. საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე კვირის ბოლომდე უნდა მიიღონ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.